პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 212 (5013) | ხუთშაბათი, 16 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

წინასაოქტომბრო ლაშქრობა (მოწინავე)
მომავალი მოსავლის საწინდარი („პრავდის" მოწინავე. მე-2 გვ.)
ხარისხოვანი და ჩვეულებრივი თესლის მავნებლური სტანდარტების გაუქმების შესახებ (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება. 1-ლი გვ.).
ნიონში ხელი მოაწერეს ხმელთაშუა ზღვის შეთანხმებას (1-ლი გვ.)
ამხ. ლიტვინოვის სიტყვა (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის მთავრობის სამძიმარი ბ. მასარიკის გარდაცვალების გამო (1-ლი გვ.)
გამოიცა ამხანაგი სტალინის სიტყვები და საუბრები (მე-2 გვ.)
როგორ ვასწავლოთ ისტორია „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის" მიხედვით (მე-3 გვ.)
კ. ზეტკინი — ბოლშევიზმის სტალინური მესიტყვე. ლეტონი. მე-2 გვ.)
შანხაი-უსუნის ფრონტზე (1-ლი გვ.)
ჩინეთის თვითმფრინავებმა ჩასძირეს იაპონიის სამხედრო ხომალდი (1-ლი გვ.)
რესპუბლიკელთა წარმატებანი არაგონიის ფრონტზე (1-ლი გვ.)

წინასაოქტომბრო ლაშქრობა!

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა 20 წლის მანძილზე, გმირული ბრძოლისა და მუშაობის შედეგად, სოციალიზმი ცოცხალ სინამდვილედ აქციეს. ჩვენს ქვეყანაში დიადი ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით სოციალისტურმა წყობილებამ გაიმარჯვა საბოლოოდ და სამუდამოდ, და დაიწყო ბრძოლა სოციალიზმის უფრო მაღალი საფეხურისათვის — კომუნიზმისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობის თარიღის მოახლოვებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებმა დაიწყეს წინასაოქტომბრო ლაშქრობა იმისათვის, რომ სოციალიზმის ქვეყანა შეამკონ ახალ-ახალი მარგალიტებით, ახალ-ახალი მიღწევებით, რომ ოქტომბრის 20 წლისთავისათვის შეასრულონ მეორე სტალინური ხუთწლედის უკანასკნელი წლის — 1937 წლის სამეურნეო გეგმა.

სოციალიზმის დედაქალაქის სტახანოველებმა მოწოდებით მიმართეს ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ყველა მუშას, სამეურნეო მუშაკსა და ინჟინერს გაშალონ წინასაოქტომბრო შეჯიბრება, ჩააბან მასში ყველა ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო, ბრიგადა, ცვლა, ყოველმხრივ მომზადებულად მოაწყონ სტახანოვური ცვლები, ხუთდღიურები, დეკადები, მოსპონ ჩამორჩენა და ოქტომბრის 20 წლისთავს გამარჯვებული შეხვდნენ.

ეს მოწოდება საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებსაც ეხება!

ჩვენში, საქართველოში, ეს ლაშქრობა „ტრადიციულად" ჭიათურის გმირმა მაღაროელებმა დაიწყეს. 29 აგვისტოს სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველმა გედევან მეცხოვრიშვილმა 10 ტონის ნაცვლად მონგრია 76 ტონა მარგანეცი, ამ დღის დავალება შეასრულა 760 პროცენტით. კომკავშირელმა სტახანოველმა ი. გელაშვილმა ამავე დღეს 5 კაცის ნორმას გადააჭარბა, ხოლო ნ. იობაშვილმა დღიური დავალება 610 პროცენტით შეასრულა. კიდევ მეტი. მარგანეცის სტახანოველებმა პ. ხუტუნიშვილმა, დ. ქამუშაძემ, კ. ღვალაძემ, მ. დევიძემ, ვ. მოდებაძემ და სხვებმა თავიანთი წლიური გეგმა 6-7 თვეში შეასრულეს. ტყიბულელი ორდენოსანი გრიგოლ გორგიძე, აკ. კუბლაშვილი და სხვები 3-4 კაცის ნორმა ქვანახშირს იძლევიან. ასევე მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ორთქლმავალვაგონ - შემკეთებელი ქარხნის სტახანოველები — მექვაბე გეწაძე, დალცკო, მემანქანე მგელაძე და სხვები.

მაგრამ საქართველოს სამრეწველო საწარმოები შეჯიბრებაში მასობრივად ჯერ კიდევ არ ჩაბმულან.

მოსკოველი სტახანოველები თავიანთ მიმართვაში მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს, განსაკუთრებით ფეიქრებს, აბრეშუმისა და ფეხსაცმლის ოსტატებს უსაყვედურებენ შრომის დაბალ ნაყოფიერებას და დიდ წუნს; ქვანახშირის მაღაროელებს — გეგმის შეუსრულებლობას, დიდ დანაკლისს სათბობის დარგში; მეტალურგებს — ლითონის გეგმის შეუსრულებლობას. ყველაფერი ეს ეხება ჩვენს ფეიქრებსაც, ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროელებსაც, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და ავჭალის თუჯისა და ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნის მუშაკებსაც, ერთი სიტყვით, ყველა საწარმოს, ყველა საამქროს...

სოციალიზმის ქვეყანა ერთი წუთით ვერ მოითმენს ლითონის ნაკლებობას, რადგანაც ლითონი — ეს არის ტრაქტორი, კომბაინი, ეს არის დაზგა და მანქანა, ეს არის თვითმფრინავი და ტანკი. ასევე შეუწყნარებელია სათბობის, კვების, მსუბუქი მრეწველობისა და ყველა სხვა დარგის ჩამორჩენა. ამიტომ მოსკოველი სტახანოველების მოწოდების პასუხად საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ყველა კერა — მაღარო, მტს, რკინიგზის უბანი, დისტანცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უნდა ჩაებას წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და 20 წლისთავისათვის მიაღწიოს სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულებას. ამ შეჯიბრებას სათავეში უნდა ჩაუდგნენ საწარმოთა ხელმძღვანელნი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მეთაური მუშაკები, ინჟინრები, ქარხნების, მაღაროებისა და რაიონების პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები.

შეჯიბრებაში ჩაბმა აუცილებელია იმიტომაც, რომ გეგმას საქართველოს მრეწველობის ყველა საწარმო ვერ ასრულებს. მსუბუქ და კვების მრეწველობაში ჯერ კიდევ ყველგან ვერ გვაკმაყოფილებს პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ასორტიმენტისა და კომპლექტიანობის დაცვა.

ჩვენი მრეწველობის ყველა საწარმოს ხელმძღვანელთ თავისუფლად შეუძლიათ შეასრულონ წლიური გეგმა, თუ ისინი ოპერატიულად უხელმძღვანელებენ თავიანთ საწარმოთა მუშაობას.

შეჯიბრებამ უნდა გაამრავლოს აგრეთვე სტახანოველები. სტახანოველი — ეს მოწინავე მებრძოლია, იგი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტია, შრომის ნოვატორი. ტექნიკის დაუფლებით მას შეუძლია გამოსწუროს მანქანას, დაზგას იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლიან. სტახანოველები პირველ რიგში ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას საჭიროებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ სტახანოველს თავისი დაზგის, მაღაროს სპეციფიკურობის მიხედვით დროზე და ადგილზე ვაძლიოთ სტანდარტული მასალა. თუ სტახანოველს მასალის ძებნა მოუხდა, როგორც ეს ხშირად ხდება თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობაზე (მშენებლობის უფროსი გურევიჩი), იგი მალე დაჰკარგავს სტახანოველის საპატიო სახელწოდებას, და ამაში მხოლოდ საწარმოს მეთაური იქნება დამნაშავე.

მრეწველობის დარგების მუშაობის სწრაფად გაუმჯობესებისათვის საწარმოებში უნდა მოეწყოს სტახანოვური ცვლები, ხუთდღიურები, დეკადები, მაგრამ ამ ცვლებსა და დეკადებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ კარგი შედეგის მოტანა, თუ ისინი ყოველმხრივ ორგანიზებულად იქნებიან მოწყობილი.

თითქმის ორი თვე დარჩა ამ ისტორიულ თარიღამდე. ეს დრო კარგი ხელმძღვანელობისა და მუშაობის პირობებში სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ თვითეულმა საწარმომ დაჰფაროს დანაკლისი, გადაჭრით გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და ოქტომბრის 20 წლისთავს გამარჯვებათა მაჩვენებლებით შეხვდეს.

უდავოა, რომ შეჯიბრება დიდ წარმატებას მოგვიტანს, მაგრამ მიღწევებმა თვითკმაყოფილება და ოპორტუნისტული უდარდელობა კი არ უნდა გამოიწვიოს პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, არამედ ყოველი სამეურნეო წარმატება შეთავსებულ უნდა იქნას პარტიული მუშაობის წარმატებებთან. შეჯიბრებამ კიდევ უფრო უნდა გაამახვილოს რევოლუციური სიფხიზლე, დააჩქაროს მავნებლობის შედეგების სრული ლიკვიდაცია, გააძლიეროს ჩვენი ბრძოლა სამგზის საზიზღარ ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალების ბოლომდე გამომჟღავნებისა და განადგურებისათვის.

გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, მოვახდინოთ მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაცია, მოვსპოთ ჩამორჩენა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, ქვეყანას, ხალხს მივცეთ იმდენი ქვანახშირი, ლითონი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი, რამდენიც მათ სჭირდებათ, და დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს გამარჯვებული შევხვდეთ! — ასეთია სადღეისო საბრძოლო ამოცანა.

სსრ კავშირის მთავრობის სამძიმარი ბ. მასარიკის გარდაცვალების გამო

ამხ. კალინინის სამძიმარი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ბ. მასარიკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ. ბენეშს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„თქვენი სახით, ბატონო პრეზიდენტო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ღრმა სამძიმარს ვუცხადებ ჩეხოსლოვაკიის მეგობარ ხალხს თქვენი სამშობლოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ბატონ მასარიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, მისი დემოკრატიული წყობილების შემქმნელის გარდაცვალების გამო.

კალინინი"

ამხ. პოტიომკინის სამძიმარი

იმავდროულად საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობის დროებითმა ამსრულებელმა ამხ. პოტიომკინმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. კროფტს გამოუცხადა სამძიმარი შემდეგი დეპეშით:

„გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი იმის გამო, რომ გარდაიცვალა პრეზიდენტი მასარიკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დამფუძნებელი, რომელმაც თავის მაღალ პოსტზე არსებითად შეუწყო ხელი იმ მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აერთებს.

პოტიომკინი"

ნიონში ხელი მოაწერეს ხმელთაშუა ზღვის შეთანხმებას

ჟენევა, 14 სექტემბერი (საქდესი). დღეს ნიონში, როგორც ვიუწყებოდით, ხელი მოაწერეს ხმელთაშუა ზღვის შეთანხმებას. მოკლე დახურული სხდომის შემდეგ შეთანხმებას ხელი მოაწერეს ღია სხდომაზე. შემდეგ თავმჯდომარემ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობა.

დელბოსის შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის სიტყვა

დიდი კმაყოფილებით ვაწერ ხელს დღეს ნიონის შეთანხმებას, რომლის შემუშავებაშიც—სიამაყით შემიძლია ვთქვა — საბჭოთა დელეგაცია უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. მე მინდა მადლობა გადავუხადო ამ კონფერენციის დანარჩენ დელეგატებს, განსაკუთრებით მოწვევი ქვეყნების დელეგატებს, მათი თავაზიანი ყურადღებისათვის იმ სურვილებისა და წინადადებების მიმართ, რომელთაც აყენებდა საბჭოთა დელეგაცია ჩვენი მუშაობის დროს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ წამოგვიყენებია არავითარი წინადადება, ნაკარნახევი ეგოისტური ან ნაციონალური მოსაზრებებით. ჩვენი წინადადებანი მიმართული იყო მხოლოდ აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებისა და ყველა იმ მშვიდობისმოყვარე ქვეყნის საერთო ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისაკენ, რომლებიც დაინტერესებული არიან პირატობის აღმოფხვრით ზღვებზე და ნაოსნობის რაც შეიძლება სრული თავისუფლების უზრუნველყოფით. ჩვენი მოსაზრებანი პირვანდელი პროექტის წინააღმდეგ, რაც ითვალისწინებდა ხმელთაშუა ზღვის დაყოფას ზონებად, რომელთაც დაიცავდნენ ცალკე ყველა აქ მონაწილე სახელმწიფოს, მათ რიცხვში საბჭოთა კავშირის, საზღვაო ძალები, მთლიანად იქნა აცილებული ინგლისისა და საფრანგეთის შემდგომი თავაზიანი თანხმობით იკისრონ ხმელთაშუა ზღვის მთლიანად დაცვა კიდით-კიდემდე.

მოგაგონებთ, რომ ესპანეთის კონფლიქტის დასაწყისშივე საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება საზღვაო კონტროლი დაკისრებოდათ მხოლოდდამხოლოდ ინგლისსა და საფრანგეთს, და რომ შემდეგში მან ნებაყოფლობით სთქვა უარი მისთვის ლონდონის კომიტეტის მიერ მიცემულ უფლებაზე გაეგზავნა თავისი საზღვაო ძალები ხმელთაშუა ზღვაზე კონტროლში მონაწილეობისათვის. სსრ კავშირს არ ესაჭიროება ამათუიმ შემთხვევის გამოყენება იმისათვის, რომ დადასტურდეს მისი უდავო უფლება, რაც არავითარი საერთაშორისო აქტით არ არის შეზღუდული, გაგზავნოს თავისი საზღვაო ძალები ხმელთაშუა და სხვა ზღვებში, როდესაც იგი ამას საჭიროდ დაინახავს. აი ამიტომ,—როგორც კონფერენციის ყველა მონაწილეს მოეხსენება,—მე არა თუ არ მოვითხოვდი ჩვენს მონაწილეობას აქ შემუშავებულ საზღვაო კონტროლში, არამედ, პირიქით, კონფერენციაზე აღნიშნული მიზეზებით, გავილაშქრე ზონების იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ჰგულისხმობდა ჩვენს მონაწილეობას. მე საჭიროდ ვცანი შევჩერებულიყავი ამ პუნქტზე იმ სიცრუის გამო, რასაც ამ საკითხს ირგვლივ პრესაში ჩმახავენ.

მე განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ კონფერენციამ, მიიღო რა მხედველობაში ჩვენი შენიშვნები, ალბეჭდა შეთანხმებაში იმ ფორმით, რომელიც არ უშვებს არავითარ მიკიბულ-მოკიბულ გაგებას, ის რომ არავის არა აქვს მინიჭებული მეომარი მხარის უფლებანი, და, მაშასადამე, არა აქვთ უფლებანი გააჩერონ ღია ზღვაში კომერციული გემები, მით უფრო—ჩასძირონ ისინი. ჩვენ, მართალია, გვინდოდა, რომ დაუყოვნებლივ დასჯილიყო ყველა ასეთი უკანონობა, თუნდაც ჩადენილი საომარი დროისათვის დაწესებულ საერთაშორისო კონვენციათა წესების დაცვით. მე ამაზე მიპასუხეს, რომ არ შეიძლება იყოს ერთნაირი სასჯელი ქურდისათვის და მკვლელისათვის, და რომ, სხვათაშორის, კომერციული გემების ჩაძირვა წყალქვეშა ნავების მიერ ამ წესების დაცვით პრაქტიკულად განუხორციელებელია, და რომ, თუ მაინც, მიუხედავად ამ შეთანხმებისა, საზღვაო პირატობა არ შესწყდება, განხილული იქნება შემდგომი ღონისძიებანი. ამხანად მე დაკმაყოფილებულად ჩავთვალე თავი ამ ახსნა-განმარტებით.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი შედავებისა, დაცვის მოქმედებიდან გამორიცხულია ესპანეთის მთავრობის კომერციული გემები, ვინაიდან—როგორც აქ განმიმარტეს,—ესპანეთის გემების ეკიპაჟთა სიცოცხლის დაცვა შეიძლება მიიჩნიონ ესპანეთის კონფლიქტში ჩარევად. კონფერენციის მუშაობა რომ არ გამერთულებინა, მე თავი შევიკავე ამ სკრუპულოზობის დაპირისპირებისაგან „ჩარევის" იმ მეთოდებთან, რასაც იყენებენ სხვა სახელმწიფოები, რომელნიც აქ წარმოდგენილი არ არიან.

ჩვენ, საბჭოთა დელეგაციას, გვინდოდა რამდენიმე სადგურით უფრო შორს წავსულიყავით იმ გზაზე, რომელიც აქ ჩვენ, თქვენთან ერთად, გავიარეთ, ვინაიდან, როგორც სხვა საერთაშორისო კონფერენციების ისტორიამ დაგვანახვა, ნორჩი საბჭოთა სახელმწიფო, ასავსე ძალღონით, ენერგიით, მხნეობითა და რწმენით თავისი საერთაშორისო კონცეპციების სისწორისადმი, ყოველთვის მზად არის უფრო შორს და უფრო სწრაფად წავიდეს მშვიდობიანობის დაცვის გზით და სხვა სახელმწიფოებზე უფრო გადაჭრით იმოქმედოს.

ბატონებო, საბჭოთა დელეგაცია თქვენთან ერთად ზრუნავდა ამ კონფერენციის წარმატებაზე, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა მის შესაძლო პრაქტიკულ შედეგებზე საგრძნობლად უფრო ფართოა.

ჩვენს დროში, როცა ზეიმობს აგრესია, საერთაშორისო უკანონობა და ავანტიურისტული თავხედობა, — განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ ყოველგვარ აქციას ამ მოვლენასთან საბრძოლველად, რომელიც გამოიხატება არა მარტო შეგონებით, პროტესტებით, დეკლარაციებით და რეზოლუციებით, არამედ მოქმედებითაც. დღეს კი ლაპარაკი იყო საერთაშორისო შეთანხმებაზე, რომელსაც მატერიალურად უზრუნველჰყოფენ. ამასთან ერთად, ეს შეთანხმება წარმოადგენს კოლექტიური უშიშროების იდეის, აგრეთვე რეგიონალურ შეთანხმებათა იდეის ნაწილობრივ განხორციელებას. ამ კონფერენციის ისე, როგორც მონტრეს შარშანდელი კონფერენციის, წარმატების სისწრაფე, ჩემი აზრით, აიხსნება, უმთავრესად, იმით, რომ როგორც ერთი, ისე მეორე კონფერენციის მონაწილენი ეკუთვნიან მშვიდობიანობის ფრონტს, დგანან კოლექტიური უშიშროების, რეგიონალური შეთანხმებების ნიადაგზე, საერთაშორისო ვალდებულებათა და სხვა იმ იდეათა დაურღვევლობის ნიადაგზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ერთა ლიგის პაქტს. ჩემ მიერ დასახელებული ორი კონფერენციის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ამ იდეების საფუძველზე არის შესაძლებელი სრული საერთაშორისო თანამშრომლობა იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რაც მშვიდობიანობას ემუქრება, და ხალხთა უშიშროების განსამტკიცებლად. ამ კონსტატაციით ნიონის შეთანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამხ. ლიტვინოვის შემდეგ კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრების გამო მოკლე მილოცვებით გამოვიდნენ პურიჩი (სამხრეთსლავია)—ბალკანეთის ანტანტის სახელით, და იდენი.

ამით კონფერენცია დაიხურა.

საფრანგეთი ამრავლებს ფლოტს ხმელთაშუა ზღვაში

პარიზი, 14 სექტემბერი (ტელეფონით „იზვესტიის" საკ. კორ.). (საქდესი). საფრანგეთი ამრავლებს თავის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაში. დღეს დილით ხმელთაშუა ზღვისაკენ გავიდნენ სამხედრო ხომალდები „ფანტასკი" და „ტერიბლი", საესკადრო ნაღმოსნები „ციკლონი", „მისტრალი", „სიროკო", „ტაიფუნი", „ალსიონი" და „ტორნადი".

ინტერიმი.

მეამბოხეები ყუმბარებს უშენდნენ პორტბუს და კულერს

პარიზი, 14 სექტემბერი (საქდესი). ესპანის სააგენტო სერბერიდან (საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე) იუწყება, რომ გუშინ საღამოს მეამბოხეთა 2 სამმოტორიანმა ჰიდროთვითმფრინავმა, რომლებიც აღმოსავლეთიდან მოვიდნენ და საფრანგეთის წყლებზე გადმოფრინდნენ, ვიადუკზე კულერში (პორტბუს სამხრეთით) გადმოჰყარა 10-მდე ყუმბარა. უცნობმა გემმა იმავე დროს ესპანეთის სანაპიროს დახლოვებით ოცჯერ ესროლა ზარბაზანი. რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებელმა უკუაქცია ჰიდროთვითმფრინავები.

კულერის ვიადუკი, როგორც სჩანს, არ დაზიანებულა.

კულტურის დაცემა ფაშისტურ გერმანიაში

ლონდონი, 13 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" ნიუ-იორკელი კორესპონდენტის სიტყვით, ფაშისტური გერმანიის მთავრობის მიერ წამოყენებული წინადადება გაგზავნოს საზღვარგარეთ „ფაშისტური კულტურის მისიონერები", როგორც თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ატაშეები, შეერთებულ შტატებში მიაჩნიათ იმ დაბალი დონის კიდევ ერთ მაჩვენებლად, სანამდეც დაეშვა გერმანიის კულტურა ფაშისტური რეჟიმის ბატონობის დროს. „გერმანიის მეცნიერება და გერმანიის მუსიკა, — განაგრძობს კორესპონდენტი,—მთელი XIX საუკუნის განმავლობაში სრულიადაც არ საჭიროებდნენ იმას, რომ ძალდატანებითი ექსპორტისათვის მიემართათ, მაგრამ როცა გერმანიამ ჩვენს დროში იწყო კომივოიაჟორების გზავნა თავისი ფაშისტური იდეების გასავრცელებლად მთელს მსოფლიოში, ამით მან მხოლოდ ერთ რამეს მიაღწია, სახელდობრ იმას, რომ მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგ არის ამხედრებული".

გლეხთა გაფიცვა პოლონეთში

დამსჯელი რაზმები მუსრს ავლებენ გლეხებს

ვარშავა, 13 სექტემბერი (საქდესი). გლეხური პარტიის ხელმძღვანელობამ „სტრონიცტვო ლიუდოვემ" პოლონეთის გაზეთების რედაქციებს გაუგზავნა ბიულეტენი გლეხთა გაფიცვისა და იმის შესახებ, რომ პოლიციის დამსჯელი რაზმები გლეხებს სისხლის ღვრით გაუსწორდნენ; ეს ბიულეტენი პრესაში არ გაუშვეს.

ბიულეტენში ნათქვამია, რომ გლეხთა გაფიცვა მოედო 10 სავოევოდოს (ვარშავის, ბელოსტოკის, ლიუბლინის, ლოძის, კელეცკის, პოზნანის, კრაკოვის, ლვოვის სავოევოდოს ნაწილს, ტარნოპოლის და სტანისლავსკის სავოევოდოებს, ე. ი. პოლონეთის სავოევოდოთა უმეტესობას).

„სტრონიცტვო ლიუდოვეს" გაანგარიშებით საშუალოდ გაფიცული იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ათ სავოევოდოს მთელი გლეხური მოსახლეობის 70-დან 90 პროცენტამდე. კრაკოვის სავოევოდოში გაფიცვამ მოიცვა ყველა გლეხი გამოუკლებლივ.

ბიულეტენში აწერილია დამსჯელი რაზმების მხეცობანი. ასე, მაგალითად, როგატინსკის მაზრის სოფელ ბურშტინში პოლიციამ სცემა გლეხებს კრიჟელკოს და ბარანს, ამასთან კრიჟელკოს პოლიციელებმა თვალი გამოსთხარეს და თავი გაუტეხეს. შეიტყეს რა ეს, მეზობელი სოფლების 6 ათასზე მეტმა გლეხმა თავი მოიყარა ბურშტინში და პროტესტი განაცხადა ცემის წინააღმდეგ.

პოლიციამ მიმართა ცეცხლმსროლელ იარაღს და დასჭრა 21 გლეხი.

ლვოვის სავოევოდოს იაროსლავის მაზრის სოფელ მუნინოში პოლიცია სროლით შეხვდა უიარაღო გლეხებს, რომლებიც მიდიოდნენ ქალაქ იაროსლავში, რათა პროტესტი განეცხადებიათ პარტია „სტრონიცტვო ლიუდოვეს" იაროსლავის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დაპატიმრების წინააღმდეგ. მოკლულ იქნა 8 გლეხი.

ლვოვის სავოევოდოს ტარნობჟეგის მაზრის სოფელ გრებოვში გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას ადგილობრივ გლეხ ვლადისლავ კოზლის დაპატიმრების დროს. პოლიციამ ასტეხა სროლა. მოკლულია ერთი გლეხი. კრაკოვის სავოევოდოს ლიმანოვსკის მაზრის სოფელ კასინფაში პოლიციის დამსჯელმა რაზმმა დახვრიტა 9 გლეხი. გლეხების დახვრეტამ და ცემამ, გლეხთა ქონების განადგურებამ და ა. შ. უმაღლეს წერტილს მიაღწია გაფიცვის დამთავრების შემდეგ ეგრეთწოდებული „პასიფიკაციის" („დამშვიდების") დროს.

„პოლიცია, — ნათქვამია ბიულეტენში, — ალყას არტყამდა სოფლებს, ძირფესვიანად ანგრევდა გლეხთა ქოხებს, სპობდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და ყოველგვარ საოჯახო ნივთებს, სურსათს და ტანსაცმელს, ძუძუმწოვარა ბავშვებს ჰყრიდნენ აკვნებიდან, აწამებდნენ და აუპატიურებდნენ ქალებს".

„სტრონიცტვო ლიუდოვე" აღნიშნავს, რომ მოკლულ და დაჭრილ გლეხთა რაოდენობა დიდად აღემატება ოფიციალურად გამოქვეყნებულ ციფრს.

„ახლაც კი, — იუწყება ბიულეტენი, — ნახულობენ მინდვრებში დაყრილ გლეხთა გვამებს. გლეხებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი აურაცხელია, რადგან გლეხები, რომლებიც „პასიფიკაციას" გაექცნენ, დღემდე არ ბრუნდებიან თავის სოფლებში". ბიულეტენი აღნიშნავს, რომ მასობრივი დაპატიმრება სწარმოებს მთელი პოლონეთის ტერიტორიაზე.

ხარისხოვანი და ჩვეულებრივი თესლის მავნებლური სტანდარტების გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმის გამო, რომ ხარისხოვანი და ჩვეულებრივი თესლის სტანდარტები, დამტკიცებული სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ 1935 წლის 13 ნოემბერს: ა) უშვებენ სარეველა ბალახების ნარევს 0,5 პროცენტის რაოდენობით (პირველი კლასით), რაც ერთიორად და უფრო მეტად აღემატება ძველი სტანდარტის ნორმებს და რასაც სარეველა ბალახების პროცენტი აჰყავს 15-მდე დასათესი მარცვლეულის თესლის რიცხვის მიმართ, ბ) ადიდებენ დაჭიანებას მახობელათი 5-დან 200 და უფრო მეტ პარკამდე კილოგრამ მარცვალზე და ამით აკანონებენ თესლის დაზიანებას სარეველა ბალახებით და მახობელათი—გაუქმებულ იქნას „ხარისხოვანი და ჩვეულებრივი თესლის ნორმები (სტანდარტები)", დამტკიცებული სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ 1935 წლის 13 ნოემბერს, როგორც მავნებლური და მინდვრების დამასარევლიანებელი.

2. დაწესდეს, რომ მარცვალი, რომელიც გაიცემა სათესად „გოსსორტფონდის" და „ზაგოტზერნოს" საწყობებიდან, აგრეთვე მარცვალი, რომელსაც იყენებენ საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი სათესად თავის საწყობებიდან, მთლიანად უნდა იქნეს გაწმენდილი სარეველა ბალახთა თესლისა, მახობლის პარკებისა და მათრობელას ისრებისაგან.

3. სრულიად შეუწყნარებლად ჩაითვალოს, რომ სსრ კავშირის მიწსახკომმა, პასუხად სახალხო კომისარიატის რიგითი მუშაკების წინადადებისა გამოესწორებინა მავნებლური სტანდარტები, უარჰყო ეს წინადადება—ფორმალურ - ბიუროკრატული მოტივებით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
ნ. პეტრუნიჩევი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 13 სექტემბერი.

შანხაი-უსუნის ფრონტზე

ჩინეთის ჯარები მტკიცედ მაგრდებიან თავდაცვის ახალ ხაზზე

შანხაი, 14 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის ჯარების სარდლობამ დააწესა თავდაცვის ახალი ხაზი შანხაი-უსუნის ფრონტზე, რომელიც მიდის ლიუხე — ლოდიან — ლიუხან — ტახა — მიაოხან — ძიანვან — ზაძი ძიაო — ჩრდილო ვაგზალზე. ჩინეთის ჯარები მტკიცედ მაგრდებიან თავდაცვის ახალ ხაზზე, რათა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონიის ჯარების შემდგომ შემოჭრას.

ჩინეთის სარდლობის ბრძანებით, ჩინეთის ჯარებმა 13 სექტემბერს ბრძოლით დასტოვეს იუებუ და უკან დაიხიეს ახალ პოზიციებზე. უკანდახევისთანავე დამყარებულ იქნა კავშირი ორივე ფლანგზე. წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ჩინეთის ჯარებმა დღეს დილით დასტოვეს ძიანვანის საქმიანი ცენტრი. აღმოსავლეთის იპოდრომი დაიკავეს იაპონიის ჯარებმა. მიუხედავად გააფთრებული ბომბარდირებებისა ჰაერიდან და სამხედრო ხომალდებიდან, ჩინეთის ჯარების პოზიციები ლოდიანის რაიონში უცვლელი დარჩა.

ღამით ჩინეთის თვითმფრინავები თავს დაესხნენ იაპონიის სამხედრო ხომალდებს, რომლებიც მდინარე ვანპუსა და იანძიზე იდგნენ. ამ თავდასხმათა შედეგად იაპონიის კრეისერებზე გაჩნდა ხანძარი. ჩინელთა თვითმფრინავებიდან გადმოყრილი ყუმბარები მოხვდა აგრეთვე იაპონიის სამ სხვა სამხედრო ხომალდს. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის საზენიტო არტილერია გაძლიერებით ესროდა თვითმფრინავებს, ჩინელთა ყველა თვითმფრინავი უვნებელი დარჩა. 13 სექტემბერს იაპონიის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ პუტუნს და ხონკიუს რაიონს. ხონკიუს რაიონი სუჯოუდან ჩრდილო ვაგზლამდე მოცულია უზარმაზარი ხანძარით.

ჩინეთის ჯარების შტაბის კომუნიკე ამგვარად ახასიათებს ჩინეთის ჯარების უკანდახევას და თავდაცვის ახალი ხაზის დაწესებას: „11 სექტემბრიდან მოყოლებული, ჩინეთის ჯარებმა უმნიშვნელო დანაკლისით დაიწყეს უკანდახევა სანაპირო ხაზიდან წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე. უკანდახევა მოხდა ისე, რომ იაპონიის ჯარების მხრივ ადგილი არ ჰქონია განსაკუთრებულ მოწოლას.

ჩინეთის ჯარების ძირითად ამოცანას შანხაისათვის წარმოებული ბრძოლების პირველ პერიოდში წარმოადგენდა იაპონიის ჯარების სახმელეთო ოპერაციების შეკავება სანაპიროს სხვადასხვა პუნქტში, რომლებიც ტარდებოდა სამხედრო ხომალდებიდან გააფთრებულ საარტილერიო სროლასთან ერთად. რა თქმა უნდა, არ ყოფილა იმის იმედი, რომ შესაძლებელი იქნებოდა იაპონიის ჯარების გადმოსხმის დაუსრულებლივ შეჩერება, გადმოსხმის, რაც სწარმოებდა მძლავრი საზღვაო არტილერიის დახმარებით, რომელიც შესდგებოდა სხვადასხვა ყალიბის 700-ზე მეტი ქვემეხისაგან, მით უფრო, რომ ჩინეთის არმიას არ მოეპოვებოდა საკმაო ტექნიკური საშუალებანი იაპონიის ჯარების გასარეკად. მას შემდეგ, რაც იაპონიის ჯარები გადმოვიდნენ რამდენიმე პუნქტში მდინარე ვანპუს და იანძის ნაპირზე, ჩინეთის ჯარების შტაბმა ამოცანად დაისახა შეეკავებინა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, გადმოსხმულ იაპონელთა ნაწილების შეერთება და რაც შეიძლება უფრო მეტად დაემარცხებინა ისინი იაპონიის პოზიციების დაწესებამდე. ამავე დროს გაიცა ბრძანება ახალი გამაგრებული პოზიციების აგების შესახებ, რომლებიც გაუძლებენ საზღვაო არტილერიის ცეცხლს. ეს ამოცანები შეასრულეს ჩინეთის ჯარებმა, მიუხედავად უსასტიკესი საარტილერიო სროლისა და საჰაერო ბომბარდირებისა, რაც არსებითად ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა უკანასკნელი დღეების განმავლობაში".

ჩინეთის თვითმფრინავებმა ჩასძირეს იაპონიის სამხედრო ხომალდი

ლონდონი, 14 სექტემბერი (საქდესი). ინგლისის სააგენტოების ჰონკონგელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ 14 სექტემბერს იაპონიის ორმა კრეისერმა და სამმა ნაღმოსანმა ყუმბარები დაუშინეს ბოკატიგრისის ფორტებს ჰონკონგსა და კანტონს შუა. ფორტები უპასუხებდნენ იაპონიის სამხედრო ხომალდების სროლაზე. ამ უკანასკნელთ ყუმბარები დაუშინეს ჩინელთა თვითმფრინავებმაც. მფრინავებმა განაცხადეს, რომ იაპონელთა ორი სამხედრო ხომალდი დაზიანებულია.

ჩინეთის სამხედრო ხელისუფალნი, „ტაიმსის" კორესპონდენტის სიტყვით, ამტკიცებენ, რომ ჩინელთა თვითმფრინავებმა ჩასძირეს იაპონიის ერთი სამხედრო ხომალდი და დააზიანეს რამდენიმე სხვა ხომალდი გუანჯოვანთან (ჰონკონგის სამხრეთ-დასავლეთით). ცნობა იაპონიის სამხედრო ხომალდის ჩაძირვის შესახებ გამოაქვეყნა აგრეთვე ჩინეთის ხელისუფლებამ ნანკინსა და შანხაიში.

რესპუბლიკელთა წარმატებანი არაგონიის ფრონტზე

ლონდონი, 12 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვალენსიიდან იუწყება, რომ რესპუბლიკური არმიის შეტევითი ოპერაციები არაგონიის ფრონტზე დიდი წარმატებით მიმდინარეობს. მეამბოხეთა ზარალი განისაზღვრება 10 ათასი მოკლულით, დაჭრილით და ტყვედ წაყვანილით. რესპუბლიკელთა დანაკლისი უმნიშვნელოა.

ბილბაოდან მიღებული ცნობით, გუშინ მეამბოხეთა სამხედრო გემი ყუმბარებს უშენდა ხიხონს.

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ დაიწყო სანტანდერის ხელში ჩაგდების დროს წაყვანილ ტყვეებთან ანგარიშის გასწორება. მარტო სანტანდერში სამი სამხედრო ტრიბუნალი მუშაობს დღელამე. უმეტეს შემთხვევებში გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენები.

საფრანგეთის სახალხო ფრონტის კომიტეტის მიმართვა ერთა ლიგის საბჭოსადმი

პარიზი, 13 სექტემბერი (საქდესი). საფრანგეთის სახალხო ფრონტის კომიტეტმა ერთა ლიგის საბჭოს მიმართა მოთხოვნით სასწრაფოდ შეუდგეს ესპანეთის საკითხის განხილვას. იხსენებს რა მუსოლინის ცინიკურ აღიარებას, კომიტეტი მიუთითებს ფაშისტთა პირატულ მოქმედებაზე და მოითხოვს, რომ ერთა ლიგამ გამოიყენოს თავისი წესდების შესაბამისი მუხლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

გამოიცა ამხანაგ სტალინის სიტყვები და საუბრები

მოსკოვი, 15 სექტემბერი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტგამომცემლობამ გამოუშვა ამხანაგ სტალინის შემდეგი ცალკეული სიტყვებისა და საუბრების ახალი ორიგინალური გამოცემა:

„სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე“ 1935 წლის 4 მაისს.

„სოფლად მუშაობის შესახებ“ — სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წ. 11 იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე.

„საუბარი ამერიკის საგაზეთო გაერთიანება „სკრიპს — ჰოვარდ ნიუსპეიპერსის“ თავმჯდომარესთან ბ-ნ როი ჰოვარდთან“ 1936 წლის 1 მარტს.

„საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან“, 1931 წ. 13 დეკემბერს.

ყველა ჩამოთვლილი სიტყვა და საუბარი გამოცემულია ცალკე ბროშურებად, უბის წიგნაკის ფორმატით, მკვრივ ქაღალდზე, ლამაზი ყდით.

ძლიერი წვიმა მოსკოვში

მოსკოვი, 15 სექტემბერი (საქდესი). 14 სექტემბერს ნაშუადღევს მოსკოვში მოვიდა ძლიერი წვიმა, რაც გამოიწვია ატლანტური წარმოშობის ციკლონის ცივი ფრონტის გავლამ. ციკლონი შეიქმნა რუმინეთსა და უნგრეთში და გადავიდა ბალტიის ზღვაზე.

ასეთივე კოკისპირული წვიმა, ალაგ-ალაგ ჭექა-ქუხილით, მოვიდა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის დასავლეთ ნახევარში, რამაც გამოიწვია აცივება.

ცხელი ამინდი უახლოეს დღეებში დარჩება კავშირის ევროპული ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აცივება კი თანდათანობით გავრცელდება აღმოსავლეთისაკენ, პირველ რიგში ივანოვის, გორკის და ვორონეჟის ოლქებში, აცივების წინ იქნება წვიმები.

გამოცდილების გაზიარება

ხარკოვი, 14 სექტემბერი (საქდესი). საინტერესო მუშაობა ჩაატარა ორჯონიკიძის სარაიონო საბჭომ. ამ დღეებში მისი ინიციატივით ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის და ავტოსარემონტო ქარხნის საიარაღო საამქროს დეპუტატთა ორი ჯგუფი შეხვდა ერთმანეთს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის მომზადების გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის.

ავტოსარემონტო ქარხნის ყველა დეპუტატი მიმაგრებულია საერთო საცხოვრებლებზე, სადაც ისინი აწყობენ კანონის შესწავლას. რამდენიმე დეპუტატს დაევალა შეამოწმონ ამომრჩეველთა განაწესის შესრულება: გაპონოვმა იკისრა მეთვალყურეობა გაუწიოს დაზგათმშენებელ ქარხანასთან ტრამვაის გაჩერების ფარდულის მშენებლობას, აგრომაკოვმა — საბავშვო ბაგების მშენებლობას. დაბის კეთილმოწყობისათვის პასუხს აგებს დეპუტატი ლეშენკო. ასეთსავე დავალებებს ასრულებენ დეპუტატები — ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მეიარაღენი.

საშემოდგომო კულტურების თესვა

მოსკოვი, 15 სექტემბერი (საქდესი). 10 სექტემბრისათვის მთელ საბჭოთა კავშირში დათესილია საშემოდგომო კულტურები 25.908 ათას ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით. თესვა მიმდინარეობს შარშანდელი წლის დონეზე, ხოლო კოლმეურნეობებში თესვის ტემპები შარშანდელს რამდენადმე აღემატება. კოლმეურნეობებმა თესვის გეგმა 72 პროცენტით შეასრულეს. შარშანდელი წლის ტემპებს ჩამორჩნენ საბჭოთა მეურნეობების სახ. კომისარიატის საბჭოთა მეურნეობანი. ხარისხოვანი თესლით დათესილია 4 მილიონნახევარი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. გეგმა შესრულებულია 64 პროცენტით. თუმცა ცალკე რაიონები ხარისხოვანი თესლით თესვას არადამაკმაყოფილებლად ეწევიან (კუიბიშევის, სვერდლოვსკის, ვინიცის, ჩერნიგოვის ოლქები და კომის ასსრ), მზრალად ხვნა მთელ საბჭოთა კავშირში 10 სექტემბრისათვის შეიცავს 4.316 ჰექტარს —გეგმის 6 პროცენტს. მოხნულია 3,5 მილ. ჰექტარით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს ამ რიცხვისათვის. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანოებმა, შეასუსტეს ხელმძღვანელობა მზრალად ხვნისადმი, იმეორებენ რა გასული წლის შეცდომებს, როდესაც მზრალად ხვნის გეგმა არ იყო შესრულებული. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზრალად ხვნა ორენბურგის, ომსკის, კუიბიშევის, ჩელიაბინსკისა და სარატოვის ოლქებში.

ძირითადი მიზეზი მზრალად ხვნის დაბალი ტემპებისა არის ტრაქტორების შეუწყნარებლად ცუდი გამოყენება.

ძალზე დიდია ტრაქტორების გაცდენა. კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალა ცუდად არის გამოყენებული მზრალად ხვნის უბნებზე, რომელთა ნიადაგი შეიძლება ცხენით იქნეს მოხნული. გასული წლის 1 სექტემბრისათვის მთელ საბჭოთა კავშირში ცხენით მზრალად მოხნული იყო 708 ათასი ჰექტარი, მიმდინარე წლის სექტემბრის დამდეგისათვის კი მხოლოდ 396 ათასი ჰექტარი. სამიწათმოქმედო ორგანოებისა და მანქანა-ტრაქტორების სადგურთა ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ უფრო სისწორით იქნეს გამოყენებული სატრაქტორო პარკი, ბოლო მოეღოს გაცდენას, მომჭირნეობით დაიხარჯოს საწვავი და კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალა ფართოდ იქნას გამოყენებული მსუბუქ სამუშაოებში.

* * *

პურის მოსავლის აღება

მოსკოვი, 15 სექტემბერი (საქდესი). საბჭოთა კავშირის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა 10 სექტემბრისათვის თავთავიანი კულტურები მომკეს 81.916 ათას ჰექტარზე. ეს უკვე 1.720 ათასი ჰექტარით მეტია იმასთან შედარებით, რაც მოიმკა შარშან ამავე რიცხვისათვის. მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 91 პროცენტით.

წელს უხვი მოსავალია. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ეს შესანიშნავი გამარჯვება საჭიროა განმტკიცებულ იქნას უბრალო მანქანებით მომკილი პურის სწრაფად დაზვინვითა და გალეწვით. ამავე დროს დაზვინვის ჩამორჩენა გრძელდება.

წელს კომბაინებით გაცილებით მეტი პური აიღეს, ვიდრე შარშან. გარდა ამისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს დიდძალი სალეწი მანქანები აქვთ. ეს საშუალებას იძლევა დაიწყოს გალეწვა მომკის შემდეგ. სალეწი მანქანებისადმი უყურადღებობამ გამოიწვია ის, რომ გალეწვის ჩამორჩენა ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

საბჭოთა კავშირში გალეწილია მომკილი პურის 65 პროცენტი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი არიან საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობები (მკის გეგმა მათ შეასრულეს 83 პროცენტით) და მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობები (87 პროცენტით).

დაზვინვისა და გალეწვის დაჩქარება — აი რა უნდა იყოს ამჟამად ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

* * *

ატომის ბირთვის შემსწავლელი სრულიად-საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 14 სექტემბერი (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია 20 სექტემბერს მოსკოვში იწვევს ატომის ბირთვის შემსწავლელს მეორე სრულიად-საკავშირო კონფერენციას. კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკად. ა. ფ. იოფემ საკ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა:

—ატომის ბირთვისა და კოსმოსურ სხივთა ფიზიკის საკითხი ყველაზე აქტუალურია ამჟამად. აქ სწყდება იმ ძირითად ელემენტარულ ნაწილაკთა პრობლემა, რომელთაგანაც აგებულია ნივთიერება და პრობლემა იმ სინათლისა და გამოსხივებათა ბუნებისა, რომლებიც ავსებენ მსოფლიო სივრცეს.

კონფერენცია, კერძოდ, განიხილავს სამ ძირითადს პრობლემას: კოსმოსურ სხივთა ბუნებას, ჩქარ ელექტრონთა და პოზიტრონთა — ახალ ამასწინათ აღმოჩენილ ელექტრონაწილაკთა თვისებებს და ნეიტრონთა საკითხს.

უკანასკნელი სრულიად-საკავშირო კონფერენციის შემდეგ ატომის ბირთვის შესახებ ოთხი წელი გავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირში დიდი მუშაობაა გაწეული: მიღებულია ახალი საინტერესო შედეგები, რომელთა მეცნიერული მნიშვნელობაც დაწვრილებით იქნება განხილული კონფერენციაზე. უნდა აღინიშნოს რამდენიმე მათგანი.

განსაკუთრებული ინტერესი ექნება პროფ. სკობელცინის მოხსენებას, რომელმაც აღმოაჩინა მთელი რიგი ფრიად სერიოზული ანომალიები ჩქარ ელექტრონთა ნივთიერებაში გავლისას. სპეციალურ მოხსენებას კონფერენციაზე გააკეთებს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ჩერენკოვი, რომელმაც აღმოაჩინა სითხეში მოძრავ ჩქარ ელექტრონთა შუქება.

ხარკოველი ფიზიკოსები სინელნიკოვი და ვალტერი გააკეთებენ მოხსენებას რამდენიმე მილიონი ვოლტის სიმძლავრის ელექტროსტატიკური მანქანის შესახებ, რომელიც მათ ააგეს ატომის ბირთვის დასაშლელად.

მოხსენებით გამოვა ილბრუსის ამასწინათ დამთავრებული ექსპედიციის წევრი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი ვექსლერი, რომელმაც მნიშვნელოვან რაოდენობის მძიმე ნაწილაკები აღმოაჩინა კოსმოსურ სხივებში.

საბჭოთა მეცნიერების გარდა, კონფერენციაზე საზღვარგარეთიდან ჩამოვლენ ატომის ბირთვის მკვლევარი უდიდესი თანამედროვე ფიზიკოსები.

უცხოელი და საბჭოთა ფიზიკოსები გამოვლენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ხარკოვის დიდს აუდიტორიებში, სადაც გააკეთებენ მეცნიერულ მოხსენებებს თავიანთი უკანასკნელი მუშაობის შესახებ ატომის ბირთვზე.

მოსკოვ-ვოლგის არხის ექსპლოატაციის ორი თვე

მოსკოვი, 15 სექტემბერი (საქდესი). თხუთმეტ სექტემბერს სრულდება მოსკოვ-ვოლგის არხის ექსპლოატაციის ორი თვე.

ამ ხნის განმავლობაში არხით გადაყვანილია 249.700 მგზავრი და გადატანილია 256.671 ტონა სხვადასხვა ტვირთი. ცხრამეტ აგვისტოდან, გარდა წინათ მოქმედი ხაზებისა — მოსკოვის ჩრდილო ნავსადგური — კალინინი — მოსკოვის ჩრდილო ნავსადგური — კომსომოლსკაია, დმიტროვი—დიდი ვოლგა — გახსნილია კიდევ ორი ხაზი: მოსკოვის ჩრდილო ნავსადგური — პიროგოვო, მოსკოვის ჩრდილო ნავსადგური — იქშა.

სსრ კავშირის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების გაყიდვა

მოსკოვი, 15 სექტემბერი (საქდესი). მოსკოვის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო სსრ კავშირის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების გაყიდვა. სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში ბელორუსიის წიგნების სავაჭრო ქსელი გაჰყიდის სსრ კავშირის ისტორიის 85 ათას სახელმძღვანელოს.

ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმძღვანელოს გადათარგმნა ნაციონალურ ენებზე. სასწავლო-პედაგოგიური გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილება შეუდგა „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის“ გადათარგმნას ვეპებისა და იჟორსკელების ენებზე. დაწყებულია მზადება ესტონური სკოლებისათვის სახელმძღვანელოს გამოსაცემად.

კარელიის სახელმწიფო გამომცემლობა „კირია“ სთარგმნის სახელმძღვანელოს კარელიელთა და ფინურ ენებზე.

ოიროტის ავტონომიურ ოლქში „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ ითარგმნება ოიროტთა ენაზე. უზბეკეთის განსახკომის მთარგმნელთა ბრიგადამ უზბეკურ ენაზე სთარგმნა სახელმძღვანელოს პირველი ნაბეჭდი ფურცელი. სახელმძღვანელო გამოვა 500 ათასი ცალის ტირაჟით.

სსრ კავშირის ისტორიის ახალი სახელმძღვანელო იწვევს პედაგოგთა საერთო მოწონებას.

სხვადასხვა ქალაქების მასწავლებელთა მრავალრიცხოვან სემინარებში სახელმძღვანელო შეფასებულია, როგორც უდიდესი მიღწევა ისტორიის სწავლებაში.



თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის სტახანოველი ამხ. ვერა აგორჩევა, მუშაობს 5 დაზგაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

მომავალი მოსავლის საძირკველი

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს უდიდეს წარმატებას მიაღწიეს: მიღებულია მარცვლეულ კულტურათა ისეთი მაღალი მოსავალი, როგორიც ჩვენი ქვეყნისათვის მთელი მისი არსებობის განმავლობაში უცნობი იყო. სოციალისტური სასოფლო მეურნეობის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ახალი პასუხსაგები ამოცანა: განამტკიცოს მიღწეული, სოციალისტური მიწათმოქმედების მუდმივ კანონად გახადოს მაღალი მოსავალი. ამ გზაზე სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო ფართობის დროულად უზრუნველყოფას მზრალი ხვნით.

მთავრობის გეგმა ითვალისწინებს 70.761.500 ჰექტარი მზრალად ნახნავის აოშვას 1938 წლის გაზაფხულის ნათესებისათვის. ამ ამოცანის შესრულება ნიშნავს—უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყანა დამატებით მრავალი ახალი მილიონი ფუთი პურით.

ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სავსებით შესწევთ ძალღონე გადასწყვიტონ დასმული ამოცანა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე წელს მუშაობს 450 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 8 მილიონ ცხენძალას აღემატება. ამ სატრაქტორო პარკით და არსებული ცოცხალი გამწევი ძალით შეიძლება სახელმწიფო გეგმის შესრულება არათუ მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც.

მაგრამ, ცნობები, რომლებიც ადგილებიდან მოდიან, გვიჩვენებენ, რომ მხარეები და ოლქები მზრალად ხვნას ცუდად ეწევიან. გვალვიანი რაიონებიც კი, რომელთათვისაც მზრალად ხვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მას არადამაკმაყოფილებლად ეწევიან.

მაღალმა მოსავალმა ზოგიერთებს თავბრუ დაახვია. ადამიანებს დაავიწყდათ, რომ შარშან მზრალად ხვნის დროულად ჩატარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგაზაფხულო კულტურათა მაღალ მოსავალს.

10 სექტემბრისათვის ორენბურგის ოლქმა შარშანდელთან შედარებით ერთიორად ნაკლები მოხნა მზრალად. ასეთივე მდგომარეობაა ბაშკირეთშიც, კუიბიშევის, ომსკისა და სარატოვის ოლქებში. შარშანდელზე ერთიხუთად ნაკლები მოხნა მზრალად ჩელიაბინსკის ოლქმა. რით შეუძლიათ ამ ოლქების ხელმძღვანელებს ახსნან მზრალად ხვნის ასეთი სამარცხვინოდ დაბალი ტემპები? ორენბურგის ოლქის საკოლმეურნეო მინდვრებზე ხომ თითქმის 10 ათასი ტრაქტორი მუშაობს. კუიბიშევის ოლქში — 11 ათასზე მეტი ტრაქტორი, ომსკისაში — თითქმის 8 ათასი, სარატოვისაში—დაახლოებით 12 ათასი, ჩელიაბინსკის ოლქში —11,5 ათასი ტრაქტორი. ჯერ მარტო ეს ციფრები გვეუბნება, რომ უსაფუძვლოა მოჩვენებითს „ობიექტურ“ მიზეზებზე მითითების ყოველგვარი ცდა.

წელს მხარეებსა და ოლქებს სრული შესაძლებლობა აქვთ მზრალად ხვნა შეუდარებლად უფრო სწრაფად ჩაატარონ, ვიდრე წინა წლებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე 120 ათასზე მეტი კომბაინი მუშაობს, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააჩქარეს ფართობთა განთავისუფლება პურეულისაგან და, მაშასადამე, შესაძლებლობა მოგვცეს მზრალად ხვნაც დაგვეჩქარებინა. ტრაქტორების პარკი, მათ შორის შესანიშნავი მუხლუხა ტრაქტორებისა, ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალა შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაშია. და თუ მზრალად ხვნა შეუწყნარებლად ჭიანურდება, ეს მხოლოდ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და, უწინარეს ყოვლისა, სამიწათმოქმედო ორგანოების უმოქმედობით აიხსნება.

მზრალად ხვნისადმი ზოგიერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციის შეუწყნარებელი დამოკიდებულების მკაფიო ილუსტრაციად გამოდგება ყაზახსტანის სახკომსაბჭოს მოქმედება. საკავშირო მთავრობის დავალება იყო მზრალად ხვნის გეგმა ერთი დეკადის ვადაში დაეყვანათ კოლმეურნეობებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე. წინააღმდეგ ამ პირდაპირი მითითებისა, ყაზახსტანის სახკომსაბჭოს თითქმის ერთი თვის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია მთავრობის დირექტივის შესასრულებლად. ცენტრალურ პრესაში მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმა 12 აგვისტოს გამოქვეყნდა. მაგრამ ყაზახსტანის სახკომსაბჭომ მხოლოდ 6 სექტემბერს გამოაქვეყნა ადგილობრივ პრესაში თავისი დადგენილება მზრალად ხვნის საგეგმო დავალებებზე ოლქების მიხედვით.

არ შეასრულა რა საკავშირო მთავრობის კატეგორიული მითითება, ყაზახსტანის სახკომსაბჭომ ხელი მიჰყო ავანტურას: იგი [illegible] მზრალად ხვნის დამთავრების გარეგნულად „ულტრარევოლუციურ“ ვადებს, მაგრამ არსებითად ეს ვადები მოწოდებული არიან დაუმალონ პარტიასა და მთავრობას სახელმწიფო დისციპლინის შეუწყნარებელი დარღვევა ყაზახსტანის ორგანიზაციების მიერ. დასავლეთ-ყაზახსტანის, აქტიუბინსკის და ყარაგანდის ოლქებმა, ყაზახსტანის სახკომსაბჭოს 6 სექტემბრის დადგენილებით, მზრალად ხვნა 25 სექტემბერს უნდა დაამთავრონ. საკავშირო მიწსახკომის გეგმით კი, რომელიც მთავრობის მითითებით არის შედგენილი, უკანასკნელი ვადა ამ ოლქებისათვის 10 ოქტომბერია.

სახელმწიფო დისციპლინის მეტად უხეში დარღვევა და ფუჭი პროჟექტორობა, რაც ყაზახსტანის სახკომსაბჭომ ჩაიდინა, მოწმობს, რომ მას განზრახვა არა აქვს როგორც რიგი და წესია იბრძოლოს მომავალი წლის მოსავლისათვის, ხოლო ყაზახსტანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, როგორც ეტყობა, საჭიროდ არ სთვლის გამოასწოროს ასეთი მავნე ხაზი.

ამჟამად მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახვედრად. წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ებმებიან ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. წინასაოქტომბრო დღეებს მუშები და კოლმეურნეები შრომის ნაყოფიერების ახალი რეკორდებით აღნიშნავენ. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორისტთა ბრიგადებს შორისაც — სატრაქტორო პარკის საუკეთესოდ გამოყენებისათვის, მზრალად ხვნის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სტალინგრადის ოლქის სუროვიკინსკის მტს-ის მოწინავე ბრიგადირებმა, ტრაქტორისტებმა და მექანიკოსებმა ამ ცოტახნის წინათ თავისი ოლქის ტრაქტორისტებსა და ტრაქტორისტ-ქალებს მიმართეს მოწოდებით დაეწყოთ წინასაოქტომბრო შეჯიბრება მზრალად ხვნის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის.

„ჩვენი სტახანოველების მუშაობის გამოცდილება, — სწერენ ისინი,—მოწმობს, რომ სუროვიკინსკის მტს-ს უეჭველად შეუძლია 10 ოქტომბრისათვის შეასრულოს მზრალად ხვნის გეგმა 20.000 ჰექტარის რაოდენობით.

რამდენი ასეთი მტს-ი არის გაფანტული ჩვენს ქვეყანაში! რამდენი ათასი სტახანოველი ტრაქტორისტია მზად დღესვე გამოეხმაუროს ამ მოწოდებას, — ოღონდ საჭიროა დალაგებით გავაცნოთ მათ დაწყებული შეჯიბრება!

წელს დაწინაურდნენ მთელი რიგი შესანიშნავი ტრაქტორისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ თავიანთი მაგალითით გაიყოლიონ ჩამორჩენილნი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდაა ცნობილი სოციალისტური მინდვრების გამოჩენილ სტახანოველთა სახელები. პეტრე დიჩენოვის ტრაქტორისტთა ბრიგადამ (მოსკოვის ოლქის 1 პრონსკის მტს) თვითეული ტრაქტორით „ხტზ“ გამოიმუშავა 1.800 ჰექტარი. სუროვიკინსკის მტს-ში ამხ. პივოვაროვის ბრიგადამ ჯერ კიდევ 30 აგვისტოსათვის თვითეული ტრაქტორით „ჩტზ“ გამოიმუშავა 3.760 ჰექტარი. მარიამ ზარუბინას ტრაქტორისტ-ქალთა ბრიგადამ ორენბურგის ოლქის ოქტომბრის მტს-ში თვითეული თვლიანი ტრაქტორით გამოიმუშავა 700 ჰექტარი.

ასეთი მოწინავეების სია შეგვეძლია ბევრად გავამრავლოთ. მათი მუშაობის გამოცდილება ტრაქტორისტთა ყველა ბრიგადისთვის მისაწვდომი უნდა გავხადოთ. უნდა გავაჩაღოთ შეჯიბრების ცეცხლი, და მაშინ ყველა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, მათ შორის მზრალად ხვნაც, შეუდარებლად უფრო სწრაფად წავა.

იბრძვიან რა სატრაქტორო პარკის საუკეთესოდ გამოყენებისათვის, ადგილობრივი ორგანიზაციები ამასთან ერთად ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა, რათა მზრალად ხვნაზე ცოცხალი გამწევი ძალაც გამოიყენონ. მხოლოდ ტრაქტორისტებისა და ცოცხალი გამწევი ძალის სწორი შეერთებას შეუძლია უზრუნველჰყოს გეგმის დროულად და ზუსტად შესრულება.

მზრალად ხვნით ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მტკიცე საძირკველს უყრიან მომავალ მაღალ მოსავალს. უნდა გავაკეთოთ ყოველივე, რაც კი შეიძლება, რათა არ დარჩეს არცერთი ოლქი, რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც მზრალად ხვნა საუკეთესო აგრონომიულ ვადებში და მუშაობის საუკეთესო ხარისხით არ ჩაატაროს.

„პრავდის“ მოწინავე 15/IX.

ქ. ბეჟვაია

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

ბოლშევიზმის სტალინური მესიტყვე

ზუგდიდის პარტიულ ორგანიზაციაში რაიკომის ყოფილი მდივანი, ხალხის მტერი ი. გვასალია ცდილობდა პარტიის პოლიტიკური მუშაობის ჩაშლას, აგიტაციის — პარტიის ამ უბასრესი იარაღის დაჩლუნგებას. ამ გარეწარმა აგიტატორებისა და გაზეთის წამკითხველ-მესაუბრეების როლი ზოგან თავის დამქაშებს დააკისრა, რომელნიც არავითარ ძალასა და საშუალებას არ იშურებდნენ, რათა მოეპოვებინათ „ნდობა“ და „ერთგულება“ და დამანგრეველი მუშაობა გაეწიათ. ხალხის მტრები ზოგჯერ კიდეც ახერხებდნენ კონტრრევოლუციურ მოქმედებას, რადგან ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა ხელმძღვანელებმა დაჰკარგეს რევოლუციური სიფხიზლე, პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევის უნარი, გარდაიქცნენ ნამდვილ დოყლაპიებად.

„ინგურქაღალდმშენის“ კომბინატში რამდენიმე წლის განმავლობაში აგიტატორად „მუშაობდა“ კომბინატის ყოფილი დირექტორი — ამჟამად მხილებული მავნებელი ვ. ვიქტოროვი. ეს გარეწარი „აგიტატორობდა“ სამმართველოში, პარტიული კომიტეტის ცხვირისწინ, აპარატის მუშა-მოსამსახურეებში.

ამავე კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების გამგედ უკანასკნელ დრომდე მუშაობდა მავნებელი გაბისონია, იგი კომბინატის მუშათა მომარაგებას ხელოვნურად შლიდა და ცდილობდა მუშებში უკმაყოფილება გამოეწვია. ეს საზიზღარი ტიპი ამავე დროს აგიტატორად „მუშაობდა“.

მშენებლობის პარტიულმა კომიტეტმა თავიდანვე სასხვათაშორისო საქმედ ჩასთვალა პოლიტიკური აგიტაციის ბოლშევიკურად მოწყობის საქმე, პარტკომმა არავითარი დასკვნა არ გამოიყვანა ბალახნის ძერჟინსკის სახელობის ქაღალდცელულოზის კომბინატში პოლიტიკური აგიტაციის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან.

სამწუხაროდ, კომბინატში საგიტაციო მუშაობა ახლაც არ არის გარდაქმნილი. აქ პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აგიტატორებისა და წამკითხველ-მესაუბრეებისადმი ხელმძღვანელობის ნამდვილ შტაბს. ორ თვეზე მეტია პარტიულ კომიტეტს აგიტატორთა სემინარი არ ჩაუტარებია. აგიტატორები პარტიული კომიტეტის ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე არიან დარჩენილნი.

კომბინატში 700-ზე მეტი მუშაა, აგიტატორად კი 18 კაცია გამოყოფილი. აგიტატორთა ეს რიცხვი ვერ უზრუნველჰყოფს ამ წარმოებაში პოლიტიკური აგიტაციის დაყენებას. პარტიულ კომიტეტში გაიძახიან, „აგიტატორად რომ ვარგოდეს, ისეთი ამხანაგი არ მოგვეპოვებაო“. სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირადაა. პარტიული კომიტეტი არ ცდილობს შეისწავლოს პარტიული და კომკავშირული აქტივი და ამიტომ არ იცის, რომ პოლიტიკურად მომზადებული აქტიური ამხანაგები კომბინატში ბევრია.

სწორედ ამის გამო კომბინატის მუშა-მოსამსახურენი საშინაო და საერთაშორისო ხასიათის დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში სუსტად ერკვევიან. წარმოებაში შრომის დისციპლინა შესუსტებულია, აგვისტოში ყოველდღიურად 701 კაცის ნაცვლად სამუშაოზე გამოდიოდა 150—200.

ხალხის მტრები კოლმეურნეობებში პოლიტიკური აგიტაციის ჩაშლით ცდილობდნენ კოლმეურნეთა მასების უკმაყოფილების გამოწვევას, ისინი ცდილობდნენ კოლმეურნე გლეხობისათვის დაემალნათ ჩვენი ქვეყნის უდიდესი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობის საქმეში და გასაქანი მიეცათ მტრული პროვოკაციული მოქმედებისათვის.

სოფ. ნარაზენის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ტ. თოდუამ საგიტაციო მუშაობა სრულიად ჩაშალა. საზიზღრმა გვასალიამ იგი ამისათვის რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში გააძვრინა და „დიდი ავტორიტეტიც“ მოუხვეჭა. რაიკომის ინსტრუქტორებს არაფერს ეკითხებოდნენ ამ კოლმეურნეობაში პარტიული მუშაობისა და პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობაზე, რადგანაც იქ რაიკომის ბიუროს წევრი გაიძვერა თოდუა იჯდა.

კოლმეურნეობის პარტორგი ბრმად ასრულებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავალებებს. მე-6 ბრიგადაში, რომელშიაც 26 კოლმეურნეა, აგიტატორად გამოყვეს ვინმე ბარქაია, რომელსაც კოლმეურნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს და 8 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს ამ კოლმეურნეობიდან. ბარქაია არავითარ მუშაობას არ ეწეოდა. კოლმეურნეები არც კი იცნობდნენ მას.

პარტორგი თოდუა საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინურ წესდებას ამახინჯებდა, რადგანაც ამ ბრიგადის კოლმეურნეები სუსტად ერკვეოდნენ სტალინურ წესდებაში. დადასტურებულია, რომ თოდუას უნდოდა დაეშალა მე-6 ბრიგადა. რაიონულმა კომიტეტმა მას დანაშაული წაასწრო.

უკეთესი მდგომარეობა არც სოფ. ანაკლიის და განმუხურის კოლმეურნეობებსა და ანაკლიის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობაშია. აქ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელად „მუშაობდა“ ბ. თოდრია, რომელიც სემინარზე, პოლიტიკური აგიტაციის საკითხებს გარდა, ყველაფერზე ლაყბობდა. ხელმძღვანელს ჰბაძავდნენ აგიტატორებიც და კოლმეურნეთა მასებისათვის საინტერესო საკითხების გაცნობაზე ზრუნვა შეასუსტეს.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (სოფ. ანაკლია) ექვსი ბრიგადიდან მხოლოდ სამში დაიწყეს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა.

ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში ხელმძღვანელ პოსტებზე სხედან ისეთი კომუნისტები, რომლებსაც ყოველდღიური აგიტაცია კოლმეურნეებში და მუშა-მოსამსახურეთა შორის საკუთარ მოვალეობად არ მიაჩნიათ.

სოფ. ცაცხვის ცარცის ქარხანაში (სადაც 70 მუშაა) დირექტორი გოგიშვილი მუშა-მოსამსახურეებს არ აცნობს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ საინტერესო მოვლენებს. აქ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლაზე თავის დროზე არ უფიქრნიათ. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კითხვები ხშირად უპასუხოდ რჩება.

რაიკომთან არსებული პარტიული კაბინეტის მუშაობაც არ არის გარდაქმნილი ახლებურად. პარტიული კაბინეტი აგიტატორებს სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევს, არ იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები პოლიტიკური აგიტაციის შინაარსის და მეთოდების შესახებ.

რაიონული გაზეთის რედაქციამ პარტიული ორგანიზაციების ყურადღება ვერ გაამახვილა ბოლშევიკური აგიტაციის საბრძოლო საკითხებზე. გაზ. „კომუნარი“ დღემდე თითქმის არაფერს სწერს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის მიმდინარეობაზე, თავის ფურცლებზე არ გამოაქვს საგიტაციო მუშაობის ცუდი და კარგი მაგალითები.

ამხ. ლ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა ბოლშევიკური აგიტაციის მნიშვნელობა. ამხ. ლ. ბერია ამბობდა: „საჭიროა უკეთ მოეწყოს სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხთა ყოველდღიური ახსნა-განმარტება, ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ახსნა-განმარტება მუშებისა, კოლმეურნეებისა და ყველა მშრომელისათვის“.

რაიონული კომიტეტის ამჟამად დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე ხდება საგიტაციო მუშაობის რადიკალური გარდაქმნა.

სოფ. კორცხელის კოლმეურნეობა „ნაცატუში“ ამჟამად კოლმეურნენი სისტემატურად ეცნობიან ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კომკავშირელი ამხ. პ. რაფავა სწავლობს, თუ რა საკითხები აინტერესებთ კოლმეურნეობის წევრებს, და ამის მიხედვით ეწევა აგიტაციას. კოლმეურნენი ყოველთვის დაძაბული ყურადღებით უსმენენ მას. როცა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას ამუშავებდა, მან მშვენივრად მოიყვანა ჩვენს საარჩევნო კანონსა და ბურჟუაზიულ საარჩევნო კანონს შორის არსებული განსხვავებანი. მან ცოცხლად დაახასიათა საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, რომელნიც გარანტირებულია ახალი საარჩევნო კანონით.

ამ კოლმეურნეობას აქვს კარგად მოწყობილი წითელი კუთხე, საიდანაც აგიტატორებს და წამკითხველ-მესაუბრეებს შეუძლიათ ისარგებლონ ჟურნალ-გაზეთებით. სოფ. ცაიშის პარტიული ორგანიზაციაც უკანასკნელ ხანებში ნამდვილად ჩაუდგა სათავეში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნას. მაგრამ ასე არ არის ყველგან. საჭიროა საგიტაციო მუშაობაში გარდატეხა მოხდეს ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგიტატორთა კადრების შერჩევას. აგიტატორებად უნდა გამოვყოთ სერიოზული, მტკიცე, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგული ადამიანები და ყოველდღიურად ვიზრუნოთ მათი თეორიული დონის ამაღლებისათვის.

◆

წულუკიძის რაიკომის პლენუმი

7 სექტემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პლენუმი. პლენუმს დაესწრო 23 წევრი და პლენუმის წევრობის 3 კანდიდატი.

პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენლის ამხ. რ. კვირკველიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს 4 სექტემბრის დადგენილებაზე, რომელიც შეეხებოდა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ხელმძღვანელობას.

ამხ. კვირკველია ხაზგასმით შეჩერდა რაიკომის მდივან ვ. კვირიკაძის თვალთმაქცობაზე და აღნიშნა, რომ კვირიკაძეს კავშირი ჰქონდა ხალხის მტრებთან.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ვ. კვირიკაძის თვალთმაქცობის ფაქტებს.

პლენუმმა მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილება რაიკომის მდივნის ვ. კვირიკაძის სამუშაოდან მოხსნისა და მისი პარტიულობის საკითხის პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიისათვის გადაცემის შესახებ.

პლენუმმა ვ. კვირიკაძე ერთხმად გარიცხა რაიკომის პლენუმისა და ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან. პლენუმმა აგრეთვე რაიკომის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხა ხალხის მტრები — ბიჭიაშვილი და ჩხენკელი.

პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად ერთხმად აირჩია ამხ. ლ. ლეჟავა, მეორე მდივნად ამხ. მ. ზარანდია და მესამე მდივნად — ამხ. კაკაბაძე.

წამგლეჯები კვების სავაჭროებში

(რეიდის მასალებიდან)

ამ დღეებში „კომუნისტის“ რედაქციამ თბილისში მოაწყო რეიდი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ემსახურებიან მომხმარებლებს ქალაქის კვების სავაჭროები, დაცულია თუ არა დაწესებული ფასები და ნორმები, კულტურულად მოწყობილია თუ არა სავაჭროები და სხვ.

რეიდის მასალებიდან გამოირკვა, რომ თბილისის კვების ზოგიერთ სავაჭროში ჯერ კიდევ მოკალათებული არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ იცავენ საბჭოთა ვაჭრობის პოლიტიკას, ზომა-წონას, არ ზრუნავენ სავაჭროების კულტურულად მოწყობისათვის.

აი ფაქტები:

ჩელუსკინელების ქუჩაზე მოთავსებული სასადილო „შრომის ნაყოფი“ № 13 (გამგე გოქაძე) ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, სამზარეულოში უამრავი ნაგავი ეყარა.

„ინკომუნის“ სასადილო „ბახმაროს“ № 4-ში (გამგე — ჩახავა) გამოსარკვევად მისული ბრიგადა შემდეგ სურათს წააწყდა: ვ. მუშას საუზმის შემდეგ 15 მანეთის ანგარიში წარმოუდგინეს. მუშებმა ამაში ეჭვი შეიტანეს და მოითხოვეს სწორი ანგარიში: აღმოჩნდა, რომ მათ სინამდვილეში მხოლოდ 9 მანეთი დაეხარჯათ. განა ეს წამგლეჯობა არ არის?

ამავე სასადილოსა და სამზარეულოში ჭურჭელი უსუფთაოა, ჟანგიანია დანაჩანგალიც, სასადილოში მომუშავეთ ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ. მაგიდებზე არა აქვთ „მენიუ“.

ასეთივე მდგომარეობაა „ინკომუნის“ სასადილო № 6-შიც (სასადილოს გამგე — ცინცაძე).

— სასწორი გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს საწონები. ამიტომ ასაწონ პროდუქტებს აუწონავად ვუშვებთ. ან რა საჭიროა სასწორი, თვალდათვალ ისე მოვზომავ და მოვსჭრი, რომ ერთი გრამიც არ მომივა მეტ-ნაკლებიო, — ასე უპასუხისმგებლოდ განუცხადა ბრიგადას სასადილოს გამგე ცინცაძემ.

პროდუქტებს აუწონავად უშვებენ აგრეთვე სასადილო „ოლიმპიაში“ (პუშკინის ქ. № 19, გამგე წულუკიძე), ქვაბები და დანაჩანგალი ჭუჭყიანია.

კეთილმოწყობას ვერც სასადილო „კავკასი“ № 1 დაიჩემებს. სასადილო ბუზებითაა სავსე, სამზარეულოს ჭერი (საჭმელების სახარშავი ღუმლის პირდაპირ), წესით, თუნუქით უნდა იყოს დაფარული, მაგრამ მისი გაკეთება დღემდე ვერ მოუხერხებიათ.

სისუფთავის დაცვისა და მომხმარებელთა კულტურულად მომსახურებისათვის არც „მშრომელთა კვების“ № 14 და 16 სასადილოების ხელმძღვანელები იწუხებენ თავს. აქ იშვიათად ნახავთ სუფთა დანაჩანგალსა და ქვაბებს, სამზარეულოში ნაგავია.

— ეს რაა რომ ყარს?

— გუშინდელი მოტანილი სახაშე ფაშვები გახლავთ. დარბილდება, გავსწმენდთ და ხვალისათვის მზად იქნებაო. 15 აგვისტოს ასე უტიფრად განუცხადეს ბრიგადას „მშრომელთა კვების“ № 15 სასადილოს სამზარეულოში.

შაუმიანის ქუჩაზე კაფე-პავილიონ № 141-ში მაგიდებს იშვიათად ნახავთ სუფთას, თანამშრომლებს ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ. საწყობში, სადაც ნაყინი ინახება, წყლის გუბე დგას, საჭმელების ფასები ნაჩვენები არ არის.

„ხლადოცენტრის“ ნაყინის № 17 წერტი (შაუმიანის ქ-ზე) მეტად ჭუჭყიანია, შემოწმებისას დახლში ძველი ხალათები და შარვლები ეყარა.

26 კომუნარის სახელობის მოედანთან არსებული № 3 სასაუზმეში გამეფებულია ანტისანიტარული მდგომარეობა, ერთი ცალი კატლეტი უნდა იწონიდეს 100 გრამს, ნამდვილად იწონის 85 გრამს.

კაფე-რესტორანების ტრესტის სასადილო № 70 (პუშკინის ქ. № 4) სამზარეულოში აუწონავად აკეთებენ კატლეტს, ქვაბები მოუკალავი იყო; დანა-ჩანგალიც უსუფთაო აღმოჩნდა, არ ჰქონდათ „მენიუ“, საყინულეში მეტად დაბალი ხარისხის ხორცი იყო შენახული.

რუსთაველის პროსპექტზე საშაქარლამო ნაწარმისა და წყლის სავაჭრო № 150 წერტში ნაყინს უსუფთაო კოვზებით აწვდიან მომხმარებლებს. ასეთივე მდგომარეობაა № 149 წერტშიც.

დიდი უსუფთაობაა სასაუზმო „ამერიკანკაში“. შემოწმებისას კედლები აბლაბუდებითა და მტვრით იყო დაფარული, დამზადებულ პროდუქტებზე ხოჭოები დარბოდნენ.

ზომაში მოტყუების ფაქტები გამაგრილებელი წყლით სავაჭრო წერტებშიაც მოიპოვება. მაგალითად, რუსთაველის პროსპექტზე ადგილობრივი მრეწველობის გამაგრილებელ წყლების № 1 წერტში ექიმის შეუმოწმებლად მუშაობენ გამყიდველი საშა ნადირაძე და ქეთო კალაძე. ამავე წერტში დახლის დაზგა (რაზედაც სავსე ჭიქებს დგამენ) სწორად არ დგას, რაც საშუალებას აძლევს გამყიდველს მოატყუოს მომხმარებელი.

წყლის წერტის № 20-ის თანამშრომლები ჭიქაში სიროფის ჩასხმისას მომხმარებლებს ერთ მესამედს და ზოგჯერ ნახევარსაც აკლებენ. ასეთ ხერხს მიმართავენ წყლის № 20 წერტის, არტელ „მაისის“ თანამშრომლები (გამგე ალ. შენგელია). ასეთივე მდგომარეობაა პლეხანოვის პროსპექტზე № 140 წერტში, მუხრანის ხიდთან № 16 წერტში, პუშკინის ქუჩაზე № 3, წერტ. № 20-ში (გამყიდველი ეკ. მატონინა). ამავე წერტის საჩივართა წიგნში ჩაწერილ 6 საჩივრიდან პასუხი არცერთზე არ იყო გაცემული.

მატყუარები, წამგლეჯები უნდა განიდევნონ კვების სავაჭროებიდან — აი რაზე მივაქცევთ თბილისის ადგილობრივი კვების მრეწველობის ხელმძღვანელთა ყურადღებას.

რეიდის მონაწილენი: ვლ. ჩიჩუა, რ. არდემანაშვილი, კ. ბეჟუაშვილი, ერ. სოხაძე, ბ. სამთელაძე, ზ. ელისაბედაშვილი, გ. მამულაშვილი, პ. ჟავარენკო, ბ. ხუბულური, ნ. ოთარაშვილი, კ. ვერიჟენკო, ნ. კანდელაკი, ა. პეტროსიანი, გ. მუსერიძე, ვ. გეწაძე, ი. იორდანაშვილი, ვ. თხელიძე, ი. ბუიძე, ლ. ბერძენიშვილი, ი. წეველიძე, ე. ბერიაშვილი, ი. ზაალიშვილი, გ. ბანეტაშვილი, პ. ესებუა, ლ. გვარამაძე, მ. კალატოზიშვილი და დ. ჯღარკავა.

ძველი ანაგის (სიღნაღის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები ნინო შეგიაშვილი და ანა ზასილაშვილი, რომლებიც ყოველდღიურად ნორმით გათვალისწინებული 20 ზონარ-მეტრის ნაცვლად ასხამენ 40—50 ზონარ-მეტრ თამბაქოს.

ფოტო არ. სილდირიანცისა

მავნებელი თავისუფლად დათარეშობს

(გურჯაანის რაიონი)

გურჯაანის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ თომაძემ კოლმეურნეობა საწველ ფურად გაიხადა. თომაძემ მიითვისა კოლმეურნეობის 916 ვედრო ღვინო. არაყის გამოსახდელად გამოჰყო ყოფილი გამფლანგველები ი. გულიაშვილი, გ. ზარამაშვილი, მ. ლეკბორიშვილი და ვ. ტურიაშვილი, რომლებმაც კოლმეურნეობის საწყობს 897 ვედრო არაყის ნაცვლად 675 ვედრო ჩააბარეს, ხოლო დანარჩენი 225 ვედრო მიითვისეს და თანასწორად გაინაწილეს.

თომაძემ კოლმეურნეობის საწყობიდან გაატანინა 160 ჰექტარისათვის საჭირო სათესლე მასალა, ფაქტიურად კი დათესა 143 ჰექტარი, 17 ჰექტარი დამუშავებული ნაკვეთი მოაცდინა და სათესლე ხორბალი სახლში წაიღო. მანვე იყიდა კოლმეურნეობის შემოსავლიდან ცხენი 1.600 მანეთად, რომელიც ნაპარევი აღმოჩნდა და პატრონმა წაიყვანა. ფული თომაძემ დაიბრუნა და მიისაკუთრა, კოლმეურნეობის წევრებს კი არწმუნებდა, ქურდი ვერ ვიპოვეთ და ფულიც დაგვეკარგაო.

მავნებელმა თომაძემ მიითვისა 8.500 კილოგრამი პური. 70 ურემი თივა მოუვლელობით დაალპო. 15 ჰექტარი მზესუმზირას ნათესი მოუვლელობით ისე გაახრა, რომ კოლმეურნეობას არცერთი კილოგრამი მოსავალი არ მიუღია. გაშენებული და გახარებული 2,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი ამოჰყარეს და დაიტაცეს. 1 ჰექტარი მიწა, რომელზედაც გაშენებული იყო ამერიკული ვაზის სადედე, თომაძემ გადაახვნევინა და ლობიო დაათესვინა. მოუვლელობით და გაუთოხნელობით გაფუჭდა აგრეთვე 6 ჰექტარი სიმინდი, 25 ჰექტარი ჭარხალი, 1,5 ჰექტარი კარტოფილი და 3 ჰექტარი მოსავლიანი ვენახი.

უპატრონობით დაიხოცა კოლმეურნეობის 7 სული კამეჩი. მიღებულ ყველს აქ ისე ინაწილებდნენ, რომ არსად არ ატარებდნენ, საქონლის მომვლელებს კი შრომადღეები ორმაგად ეწერებოდათ. თომაძის „წყალობით“ ვენახის მთლიანი ფართობის ნახევარი მოუვლელობით გაოხრებულია. თომაძემ მიითვისა აგრეთვე კოლმეურნეობიდან გატანილი 1.300 მანეთი.

მან ხალხის მტერს, ტროცკისტ გიორგი ჯიქურაშვილს, რომელსაც კოლმეურნეობის ფულის განიავებისათვის 2 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, მისცა ყალბი მოწმობა, თითქოს მასზე არაფერი არ ირიცხებოდა, და გაანთავისუფლებინა კიდეც. თომაძემ ვაჭარ სანდრო თათარგიორგიშვილს მისცა მოწმობა, რის საფუძველზე იგი ვაგონობით ეზიდებოდა საქონელს და კოლმეურნის საფარით ფაქტიურად სპეკულანტობდა.

კოლმეურნეობის იმ წევრებს, რომლებიც თომაძეს აქეზებდნენ, საკარმიდამო ნაკვეთებს მეტს აძლევდა. ასეთი „წესით“ საკარმიდამო მიწა ნორმაზე მეტი მიღებული აქვთ: ნიკო ბედინაშვილს, ე. მანოშვილს, ზ. მამულაშვილს, დ. ხიმშიაშვილს.

კოლმეურნეობის წევრი ამხ. შაქრო ხატიაშვილი აცხადებს, თომაძემ საქონლის ტყავი კერძო ვაჭრებს მიჰყიდაო. მუშა-საქონელს არავინ ჰყავდა მიმაგრებული და იგი მოუვლელობით ნადგურდებოდა. მაგალითად, ცხენებს ფეხს უბორკავდნენ მავთულით, რის გამო მათ დღესაც ფეხები გაფუჭებული აქვთ.

იმ დროს, როდესაც მოუვლელობით ვენახის ნარგავები ფუჭდებოდა, თომაძემ ვენახში მომუშავე კოლმეურნეები სხვა სამუშაოზე გადაიყვანა.

გადაუხნავ მიწებზე ხორბლის თესლი ისე მეჩხრად დათესა, რომ ნაკვეთები მოსცდა.

თომაძე ყალბ ცნობებს აწვდიდა რაიონს. მაგალითად, გეგმით უნდა დაეთესა ფეტვი, იონჯა და ჭარხალი, ფაქტიურად ერთი ჰექტარიც არ დაუთესია, რაიონს კი აცნობა, გეგმა შევასრულეო.

პარტიის წევრები დათა შავერდაშვილი და ალექსი მჭედლიშვილი სისტემატიურად ამხელდნენ მავნებელ თომაძის უმსგავსოებას, მაგრამ გურჯაანის რაიმიწგანის ყოფილი გამგე, ტროცკისტი დოლიძე არათუ არ ღებულობდა ზომებს ამ უმსგავსოების წინააღმდეგ, არამედ აქეზებდა კიდეც, ხოლო კოლმეურნეობის აქტიურ წევრებს ინტრიგანებსა და მავნებლებს უწოდებდა.

აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ მავნებელი არსენ თომაძე დღესაც თავისუფლად დასეირნობს — მას მხოლოდ მოხსნა აკმარეს და საქმე ფორმალურად სასამართლოს გადასცეს. სასამართლო კი საქმის გარჩევას აჭიანურებს.

გალ. ერკეთელი.

კალმის წრიპინში ახშობენ ცოცხალ საქმეს

(სიღნაღი, „კომუნისტის“ საკუთ. კორესპონდენტისაგან)

რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩა თამბაქოს აღების გეგმის შესრულებაში. 10 სექტემბრისათვის შეტეხილი იყო სულ 3.758 ათასი ზონარმეტრი თამბაქო ანუ გეგმის 44 პროცენტი. ეს მაშინ, როცა თამბაქოს აღების ვადა იწურება.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხეშად არღვევენ აგროტექნიკურ წესებს. მაგალითად, ტიბაანის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარედ მოსე ბიძინაშვილი მუშაობს, 1,5 ჰექტარ ფართობზე კრეფის დაგვიანების გამო დიბი (თამბაქოს ძირზე პირველად შეტეხილი ფოთოლი) მთლიანად გადაიწვა.

ჯუგაანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ულაშვილმა თამბაქო სიცხეში მორწყა, რამაც 0,5 ჰექტარი თამბაქო თითქმის მთლიანად გააფუჭა (უნდა მოერწყა ღამით, ან დილით ადრე). ძველი ანაგის გაზეთ „კოლმეურნის“ სახელობის კოლმეურნეობაში ერთად, დაუხარისხებლად ანემსეს კარგი და ცუდი ხარისხის თამბაქო.

აღების დაგვიანებით 2 ჰექტარი თამბაქო გადაიწვა საქობოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიაც. აქ თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ თამბაქოს ხარისხს, უწესოდ ახდენენ დახარისხებასა და ანემსვას. თამბაქოს საშრობ ფარდულში ლეწავენ მზესუმზირას და ატრიელებენ ხორბალს, რაც იწვევს თამბაქოს დამტვერიანებას. ასხმის წინ დიბი უნდა ირეცხებოდეს, მაგრამ აქ ამ წესს არ ასრულებენ.

მრავალ კოლმეურნეობაში თამბაქოს საშრობი ფარდულების დიდი ნაკლებობაა. 1600 ჰექტარი თამბაქოსათვის რაიონს სულ 670 თვალი საშრობი აქვს. გეგმით წელს დამატებით უნდა აგებულიყო 130 თვალი. სამისო პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და კრედიტები დროზე მიიღეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. 130 თვალიდან ამჟამად დამთავრებულია მხოლოდ 8 და დაწყებულია 7-ის მშენებლობა, ხოლო დანარჩენის აგებაზე თავს არ იწუხებენ.

რაიაღმასკომის, რაიმიწგანის და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ამ საქმისადმი დანაშაულებრივი უყურადღებობა გამოიჩინეს. მაგალითად, ჯუგაანის კოლმეურნეობა „ქიზიყს“, ანაგის — ტელმანის სახელობის, ვაქირის — ლ. ბერიას და მე-17 პარტყრილობის სახელობისა და ბოდბის — სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს თამბაქოს საშრობი ფარდულებისათვის დამზადებული მასალა ტყიდან ჯერაც არ გამოუტანიათ. გურჯაანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ და კოლმეურნეობებმა „ხირსის გლეხთა შრომამ“ და „მისწრაფებამ“ დამზადებული ხე-ტყის მასალა დროზე არ გამოზიდეს და იგი ადიდებულმა ალაზანმა გაიტაცა.

რაიმიწგანისა და მტს-ის ზოგიერთი მუშაკი ამ ჩამორჩენას „ობიექტური“ მიზეზებით ხსნის. ეს სწორი არ არის, სიღნაღის მიწგანი და წნორის მტს-ი კოლმეურნეობებს უგზავნიან მიმართვებს ჩამორჩენის გამოსწორების შესახებ და ამით კმაყოფილდებიან. ვერ ამჩნევენ, რომ ამ დაუსრულებელ მიმოწერაში ხელიდან ეცლებათ ოქროს დღეები. რაიმიწგანისა და მტს-ის მუშაკები კალმის წრიპინში ახშობენ ცოცხალ საქმეს და აფერხებენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებათა შესრულებას.

ბ. აცანელი

უპატრონო საავადმყოფო

(მესტია, ჩვენი საკუთ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. ხაიშის მიდამოებში ტყის და ოქროს მრეწველობის ათას ხუთასზე მეტი მუშა ცხოვრობს, ხოლო მათი მომსახურებისათვის ახლო-მახლო რიგიანი საავადმყოფო არ მოიპოვება.

არსებული საავადმყოფო მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ ბინაში. ფიცრული სახლის ზედა ოთახში აფთიაქია, გვერდით ფერშალს აქვს ბინა, მესამე ოთახში საექიმო მისაღები კაბინეტია, ხოლო მეოთხეში — თვით ექიმი ცხოვრობს.

თვით საავადმყოფო სადღაა?.. ორი მეტრის სიღრმის სარდაფში, რომელსაც აქ „საწოლ პალატებს“ უწოდებენ.

ამ, უკაცრავად პასუხია, პალატებში შესვლისთანავე სულის შემხუთავი შმორის სუნი გეცემათ. დამტვრეულ საწოლებზე უსუფთაო და დაფლეთილი ლოგინი აფენია, ხოლო კედლებიდან სინესტე ჟონავს.

საავადმყოფოს კარს იმოდენა ნაპრალები აქვს, რომ შიგ ქარი კი არა, მუშტიც თავისუფლად გაეტევა. სრულიად უვარგისია ღუმელიც.

საკვირველია ერთი რამ: ზემოსვანეთის რაიაღმასკომის ბიუჯეტში 5 საწოლისათვის მუდმივი სამზარეულოს შესანახი ხარჯებია გათვალისწინებული, ხაიშის საავადმყოფო კი ავადმყოფებს კერძს მაინც არ აძლევს. ხაიშის საავადმყოფოს ასეთი მდგომარეობა მისი ყოფილი გამგის ვინმე ექიმბაშ დ. ნიჟარაძის საქმიანობის შედეგია. ნიჟარაძეს მსოფლიო ომის დროს წითელი ჯვრის კურსები დაუმთავრებია, ხოლო გამარჯვებული სოციალიზმის ხანაში ხაიშის საავადმყოფოს „სწავლულ“ ექიმად მოვლინებია.

ნიჟარაძე სდევნიდა ყველას, ვინც კი მასთან სამუშაოდ მოსულა. მისი მეოხებით ხაიშში ექიმები არ ჩერდებიან. თუმცა დღეს დ. ნიჟარაძე მოხსნილია, მაგრამ ჯამაგირის მიღებას რატომღაც მაინც განაგრძობს, თან მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილში აგიტაციასაც ეწევა — ვისაც თავი არ მოგძულებიათ, ამ გამოუცდელ ექიმებთან ნუ წახვალთ, თორემ ავს რასმე დაგმართებენო.

საავადმყოფოს არ გააჩნია პირველი დახმარების მოწყობილობა, საგნები, მედიკამენტები...

მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ საავადმყოფოს თავისი ბიუჯეტი აუთვისებელი რჩება, ხოლო ამავე დროს თერმომეტრიც არ აქვს.

ოთ. ეგაძე.

როგორ ვასწავლოთ ისტორია „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის“ მიხედვით

(მოსკოვი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა პროფ. ა. ვ. შესტაკოვს, რომლის რედაქციითაც ხუთმილიონიანი ტირაჟით გამოვიდა „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“. ამხ. შესტაკოვმა გაუზიარა თქვენს კორესპონდენტს თავისი აზრები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ჩვენს სკოლებში სსრ კავშირის ისტორია ახალი კურსის მიხედვით, რომელიც მოწონებულია მთავრობის ჟიურის მიერ. ამხ. შესტაკოვმა შემდეგი სთქვა:

— როდესაც პედაგოგი უამბობს მოწაფეებს ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, მან დასაწყისიდანვე უნდა შთააგონოს ბავშვს, რომ კაცობრიობის ისტორია — ეს არის მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების შესახებ, კლასთა ბრძოლის ისტორია.

პედაგოგმა უნდა გააცნოს ბავშვებს საბჭოთა კავშირის წარსული, უნდა ასწავლოს მათ, რომ 20 წლის წინათ ღატაკ და ჩამორჩენილ რუსეთს ექსპლოატაციას უწევდნენ მეფე, მემამულენი და კაპიტალისტები. აუცილებელია ავუხსნათ ბავშვს მნიშვნელობა ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიისა, რომელმაც უჩვენა მშრომელთ გზა სოციალიზმისაკენ და რომელიც ხელმძღვანელობდა მუშებსა და გლეხებს მონარქიის და კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში.

უნდა ავუხსნათ ბავშვებს, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც 20 წლის წინათ ბოლშევიკებმა შესცვალეს ძველი საზოგადოებრივი წყობილება რუსეთში, — შეიქმნა საბჭოთა კავშირი, სადაც **უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ ადამიანებმა მიაღწიეს ბედნიერ, სიხარულით აღსავსე და მდიდარ ცხოვრებას.** ბავშვებისათვის სოციალიზმის გამარჯვებათა ჩვენება ყველგან ადვილია ჩვენი ფაბრიკების, ქარხნების, სახელოსნოების, რკინიგზების, სკოლების, თეატრების, კინოების, საბავშვო ბაღების, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და ბინების კონკრეტულ მაგალითებზე.

უამბობს რა ბავშვებს საბჭოთა კავშირის ცხოვრებას, პედაგოგმა მათი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს ჩვენი თერთმეტი მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკის ხალხების მეგობრობას, რესპუბლიკებისა, სადაც 50-მდე ხალხი და დაახლოვებით 170 მილიონი კაცი ცხოვრობს.

აუცილებელია, რათა ბავშვებმა გაიგონ, რომ სსრ კავშირი ერთადერთი ქვეყანა როდია დედამიწაზე. სსრ კავშირი გარემოცულია მტრული კაპიტალისტური ქვეყნებით, სადაც ადამიანი ჯერ კიდევ ეწევა ადამიანის ექსპლოატაციას.

როდესაც პედაგოგი აძლევს ბავშვებს ძირითად წარმოდგენას ისტორიაზე, როდესაც აცნობს მათ ისტორიის კართა შესავალ ნაწილს, იგი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. საერთო წარმოდგენამ ისტორიაზე უნდა აღუძრას ბავშვს ინტერესი ისტორიისადმი, მოამზადოს იგი ისტორიისათვის, რათა მან გაიგოს ისტორიის მეცნიერების მნიშვნელობა, ყველა იმ მოვლენის მნიშვნელობა, რომლებსაც ისტორია აღნიშნავს.

ისტორიის ყოველ კარში მოწაფეები მკაფიოდ უნდა გაერკვნენ, თუ როგორ მიმდინარეობდა ხალხების კლასთა ბრძოლის პროცესი.

გაიხსენებს რა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებას, პედაგოგმა უნდა აჩვენოს მოწაფეებს ადამიანის ცხოვრება პირველყოფილი არსებობის პირობებში. უნდა მოაგონოს მათ ლენინის სიტყვები, რომ „არავითარი ოქროს ხანა ჩვენამდე არ ყოფილა, არამედ პირველყოფილი ადამიანი სავსებით დაბეჩავებული იყო არსებობის სიძნელით, ბუნებასთან ბრძოლის სიძნელით“.

დიდ ქალაქებში პედაგოგისათვის ადვილია უზრუნველჰყოს ბავშვების გაცნობა შორეულ წარსულის პირობებთან. მუზეუმებში საუცხოოდ დასურათებულია პირველყოფილი, გამოქვაბულის ადამიანის ცხოვრება. ბავშვს შეუძლიან დაინახოს საოჯახო საგნები, ქვის ჭურჭელი, იარაღი, ჭურჭები და ბევრი სხვა ნივთი, — ბუნებასთან ადამიანის ბრძოლის შედეგები.

მაგრამ მუზეუმების გარდა, ხოლო განსაკუთრებით იქ, სადაც მუზეუმები არ არსებობს, კარგი იქნება, რომ სკოლა იზრუნებდეს თვალსაჩინო ხელსაწყოებზე; ნახატები, სურათები, მაკეტები — ყოველივე ეს საუცხოოდ დაეხმარება ბავშვს — გაერკვეს პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებასა და ბრძოლაში.

ისტორიის ერთერთი ძნელი კარია **გვარიდან სახელმწიფოზე გადასვლა.** მასწავლებელს უნდა ახსოვდეს ამ გაკვეთილის ძირითადი მიზანი — აჩვენოს, თუ როგორ გადავიდნენ ადამიანები, ტექნიკის განვითარებისა და კერძო საკუთრების წარმოშობის შედეგად, გვარობით და ტომობით ცხოვრებიდან საზოგადოებრივ და პიროვნულ უთანასწორობაზე, კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.

ენგელსის წიგნი — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ ძვირფასი დამხმარე წიგნია ისტორიის ამ კარისათვის.

ძირითადი, რაც არ უნდა დაივიწყოს პედაგოგმა და რაც უნდა შთააგონოს ბავშვებს, — ეს არის აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო — ეს უმცირესობის მიერ უმრავლესობის ჩაგვრის იარაღია. ბავშვებმა უნდა გაიგონ, საიდან გაჩნდნენ მთავრები, ყაენები, რაზმები, ჯარები, სასამართლოები, საპყრობილეები.

კარი სახელმწიფოს შესახებ ამზადებს ბავშვს **საბჭოთა კავშირის ხალხთა განვითარების ისტორიისათვის.** ბავშვი გებულობს, რომ ყველა ხალხი ერთნაირად როდი ვითარდებოდა. იმ ხალხებმა, რომლებიც რუსეთის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ და მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ, მალე შექმნეს სახელმწიფო, და იქ დაიწყო უმცირესობის მიერ უმრავლესობის ჩაგვრა. ზოგიერთ სხვა ხალხში ეს პროცესი უფრო გვიან დამთავრდა.

პედაგოგმა ხაზი უნდა გაუსვას მონათა როლს, იმ ჩვეულებებსა და კანონებს, რომლებიც აძლიერებდნენ ამ უბედურ ადამიანთა ისედაც სასტიკ ექსპლოატაციას.

როდესაც პედაგოგი აცნობს მოწაფეებს იმ ძველ ხალხთა ცხოვრებას, რომლებიც ციმბირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ბინადრობდნენ, მან უნდა მიუთითოს ბავშვებს სახელმწიფოებრივი წყობილების ჩანასახებზე სკვითებსა და ჰუნებში.

მასწავლებელმა უნდა შეავსოს სახელმძღვანელოში მოთავსებული მოკლე ცნობები ძველი საბერძნეთისა და რომის მონათმფლობელური კულტურის შესახებ, მან უნდა უამბოს მოწაფეებს, თუ რა კლასობრივი ბრძოლა იყო მონათმფლობელურ საზოგადოებაში და რა ურთიერთობა არსებობდა ბერძნებსა და სკვითებს შორის, რაც 2.000 წლის წინათ დამთავრდა სავმაკის ხელმძღვანელობით სკვითი მონების აჯანყებით.

რათა ბავშვებმა უკეთ გაიგონ ჩინგის-ყაენისა და ბათის დაპყრობანი, პედაგოგმა უნდა განუმარტოს მათ, თუ როგორ სდგებოდა მომთაბარე დამპყრობთა ძირითადი არმიები.

შავი ზღვის პირის ველების მომთაბარე ჰუნებმა ბერძენთა ქალაქები გაანადგურეს. როგორ მოხდა ეს? საიდან მოვიდნენ ისინი?

პედაგოგმა აუცილებლად უნდა უამბოს მოწაფეებს, თუ როგორ ძლიერდებოდნენ მომთაბარენი, როგორ ერთიანდებოდნენ თავისი ბელადების მეთაურობით, როდესაც ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ საძოვრების საძებნელად. მომთაბარენი იპყრობდნენ სხვა მომთაბარე და ბინადარ ტომებს, შეერთოდნენ ხოლმე მათ და ჰქმნიდნენ მომთაბარე დამპყრობთა ძლიერ არმიებს.

როდესაც მასწავლებელი დაიწყებს ბავშვებისათვის სლავების გაცნობას, მან თავიდანვე უნდა გადასცეს მათ ძირითადი ცნება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებმა სლავებმა შექმნეს სამი დიდი ხალხი — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხები. როდესაც ამ ხალხების შესახებ უამბობს, მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს არც მათი გეოგრაფიული მეზობლები — მარი, მორდვა და სხვ., ვოლგაზე არსებული ბულგართა და ხაზართა სამეფოები, გერმანელთა ტომები და ვარიაგები.

როდესაც ისტორია **ბიზანტიას** შეეხება, პედაგოგმა სწორად უნდა გააშუქოს მოვლენები და არ უნდა შთააგონოს ბავშვებს ყალბი პატრიოტიზმის გრძნობა. ძველი სახელმძღვანელოების ფურცლებზე ლაპარაკი იყო, უშიშარი სლავები თავს ესხმოდნენ ბიზანტიას და გამარჯვებას-გამარჯვებაზე აღწევდნენო. სლავები მართლაც გაბედულები იყვნენ, მაგრამ ბავშვებმა ასევე სწორი წარმოდგენა უნდა შეიქმნან ბიზანტიაზე, როგორც მრავალსაუკუნოებრივი კულტურის სახელმწიფოზე.

ახალ სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში სლავებს შორის უკვე იყო კლასობრივი დანაწილება, არსებობდნენ თავიანთი ბოიარინები და მთავრები. ბოიარინებისა და სლავთა მთავრების გაცნობა აუცილებელია იმისათვის, რათა ვაჩვენოთ ბავშვებს, რომ ვარიაგთა მთავრები ჩამოვიდნენ უკვე ფორმირების პროცესში მყოფ სახელმწიფოებრივ ურთიერთობაზე, რაც შეიქმნა თვით სლავთა ტომებში საზოგადოებრივი განვითარების შედეგად.

რათ აღმოცენდა უთანასწორობა სლავებში? ამის მიზეზია ტექნიკის განვითარება, რკინის სახნისიანი კავისა და ცხენის გამოყენება. იპყრობდნენ მიწებს — ჩნდებოდნენ მთავრები — მმართველები, რომლებიც მისდევდნენ არა მარტო ვაჭრობას, არამედ ეომებოდნენ კიდეც ბიზანტიასა და ვარიაგებს.

ისტორიის სწავლებისას მასწავლებელი გზადაგზა უნდა აცნობდეს გეოგრაფიასაც. როდესაც ლაპარაკი იქნება ვარიაგებზე, ამ დამპყრობებზე, რომლებიც სძარცვავდნენ ბალტიის ზღვის სანაპიროს, საჭიროა ბავშვებს გავაცნოთ ბალტიის ზღვა და სკანდინავიის ნახევარკუნძული.

მოწაფეებმა უნდა დაიხსომონ, რომ მიწებს, რომლებიც კიევის სამთავროში შედიოდნენ, ეწოდებოდათ კიევის რუსეთი.

საჭიროა თანდათანობით, მთავრების მიერ ხალხისაგან ხარკის აკრეფის მაგალითებზე, ბავშვებს წარმოდგენა მივცეთ მთავრებისა და ბოიარინების მიერ ხალხის ექსპლოატაციის ფორმებზე. საჭიროა, რათა ბავშვებმა გაიგონ, რომ ფეოდალიზმი აღმოცენდა არა ერთბაშად, არამედ ვითარდებოდა განსაზღვრული ეტაპებით. ხარკის აკრეფას, როგორც ბავშვებისათვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, კარგია ხაზი გაესვას როგორც ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახ ეტაპს. ხარკის აკრეფის დროს მთავარ იგორის მოკვლის ამბავი ბავშვებს მაგალითით არწმუნებს, თუ რა კლასობრივი უთანასწორობა და მტრობა არსებობდა მთავრებსა და ექსპლოატირებულებს შორის.

მთავარ ვლადიმერის მიერ ქრისტიანობის მიღების ამბავს რომ უამბობს, მასწავლებელმა ბავშვების ყურადღება უნდა მიაპყროს იმ გარემოებაზე, რომელშიც კიეველი მთავრები იღებდნენ ქრისტიანობას და სპობდნენ სლავთა ძველ ღმერთებს. რატომ ვთვლით ქრისტიანობის მიღებას პროგრესიულ მოვლენად? იმიტომ, რომ ქრისტიანობის მიღების გზით მთავრები აერთიანებდნენ დაქსაქსულ ტომებს, სლავთა შორის ავრცელებდნენ ბერძნულ კულტურას, რომელიც ბიზანტიიდან მოდიოდა. ქრისტიანობამ მისი კულტურის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. მიზანშეწონილი იქნება, რომ პედაგოგმა გააცნოს ბავშვებს ბიზანტიის კულტურის მუზეუმებში დაცული ძეგლები სურათების, ნახატების, მუზეუმის ექსპონატების და სხვ. ჩვენების გზით.

ბავშვის წარმოსახვას ბევრს აძლევს იმ ეპოქის ნათლად ამსახველი ხალხური სიმღერებისა და თქმულებების მხატვრულად გადაცემა. ბავშვებს ყოველთვის იტაცებს დროის გმირები, და ამიტომ მათ უყვართ ამბავი ილია მურომეცის, დობრინია ნიკიტიჩის და ალიოშა პოპოვიჩის სიმამაცის შესახებ, რომლებიც ახასიათებენ იმ დროის ყოფა-ცხოვრებას.

შემდეგ ბავშვები იგებენ, რომ კიევის სახელმწიფოში გამოცემული იყო კანონთა პირველი კრებული, რომელიც იცავდა ფეოდალებისა და მთავრების უფლებას ეჩაგრათ გლეხები - სმერდები და მონები - ხოლოპები. ხალხის რისხვა დროდადრო გამოსავალს პოულობდა აჯანყებებში, მაგრამ კლასობრივი ბრძოლა იმ ეპოქაში სტიქიური იყო. ამის ნათელი მაგალითია მთავარ იგორის მოკვლა დრევლიანების მიერ. ხარკის მტაცებლურად აკრეფის დროს დრევლიანები აღშფოთდნენ, აჯანყდნენ, მაგრამ მათი პროტესტი არაორგანიზებული იყო და ამიტომ იგორის ქვრივმა ოლგამ ქმრის მკვლელობის შემდეგ ადვილად ჩაახშო იგი.

კიევის სახელმწიფოს ამბებში აუცილებელია მთავარ ვლადიმერ მონომახის ფიგურის აღნიშვნა. ეს იყო კულტურის ერთერთი პირველი მატარებელი, რომელიც ნათესაურად დაკავშირებული იყო იმ დროის ყველა დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან.

პედაგოგმა უნდა მისცეს სწორი და ნათელი წარმოდგენა კიევის სახელმწიფოს დაყოფის შესახებ. ბავშვებმა უნდა გაიგონ, რომ დაქუცმაცება მოხდა არა იმიტომ, რომ სახელმწიფო გაღატაკდა. ამის მიზეზი იყო ზრდა მისი ცალკე ნაწილებისა, რომლებიც თანდათანობით გადაიქცნენ დამოუკიდებელ სამთავროებად. ნოვგოროდი, ვლადიმირ-სუზდალის რუსეთი და გალიცია-ვოლინის სამთავრო დამოუკიდებელი სამთავროები გახდნენ.

ნოვგოროდის მიწაწყალზე ლაპარაკის დროს პედაგოგმა ხაზი უნდა გაუსვას, რომ ნოვგოროდის მართვა-გამგეობა იყო მდიდარი ბოიარინების და მსხვილი ვაჭრების ხელში, რომლებიც ეწეოდნენ ვაჭრობას დასავლეთ ევროპასთან. ნოვგოროდს ისინი განაგებდნენ ვეჩეს საშუალებით, რომელიც მათ ხელში იყო. თუ ვეჩეზე ხანდახან გაისმოდა აღშფოთებული ხმები ხელოსნებისა და ღარიბებისა, რომლებიც ზოგჯერ აჯანყდებოდნენ ხოლმე, ეს სტიქიური მოვლენა იყო და მმართველი წრეები მას ჩაახშობდნენ ხოლმე.

ისტორია ნოვგოროდის ბრძოლისა გარეშე მტრებთან საინტერესო დაწვრილებითს ცნობებს გვაძლევს. გერმანელებთან ბრძოლაში ნოვგოროდს ბევრჯერ გაუმარჯვნია. ამბავი განთქმული ბრძოლისა ყინულზე, სადაც გერმანელებმა დიდი დამარცხება განიცადეს, აბათილებს ფაშისტურ სიცრუეს იმის შესახებ, რომ სლავებს არასოდეს არ დაუმარცხებიათ გერმანელები.

სუზდალის რუსეთთან ბავშვების გაცნობისას პედაგოგმა უნდა მისცეს მათ წარმოდგენა მეორე მსხვილი ცენტრის აღმოცენების შესახებ, რომელსაც შემდეგ ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო ეწოდა.

ეს სამთავრო ისე ძლიერი არ იყო, როგორც ნოვგოროდი. იგი დაქუცმაცებული იყო წვრილ სამფლობელოებად და არ შეეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მონღოლ დამპყრობთათვის.

ვურჩევთ რა ყურადღება მიაქციონ ამას, უნდა ვთქვათ, რომ ეს მეთოდური მითითებანი წინასწარია.

სკოლაში ისტორიის სწავლების მთლიანი მეთოდიკის შექმნა სერიოზული ამოცანაა, რომელიც პედაგოგებმა ისეთივე წარმატებით უნდა გადასჭრან, როგორითაც იჭრება ყველა ამოცანა საბჭოთა ცხოვრებაში.

მშრომელთა წერილები

არქივის უქონლობის მომიზეზებით...

მოქ. გეურქ დედუკოვი 1925-დან 1928 წლამდე სტალინის სახ. კლუბში იყო დარაჯად. შემდეგ, 1936 წ. 1 იანვრამდე ფეხსაცმლის შემკეთებელ არტელ „26 კომუნარში" მუშაობდა. 68 წლის კაცი ავად გახდა და პენსია მოითხოვა. საექიმო კომისიამ მისი ავადმყოფობა დაადასტურა და საამისო საბუთი მისცა.

დედუკოვმა შეაგროვა სხვა საბუთებიც, რომლებიც ასეთი შემთხვევისათვის იყო საჭირო, და ამ საბუთებით წარუდგა საქ. სარეწაო კავშირის საპენსიო კომისიას. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ამ კომისიის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ვეფხვაძემ საჭიროდ სცნო ადგილობრივ შემოწმებინა დედუკოვის მიერ წარმოდგენილი საბუთების სინამდვილე. ეს საქმე ინსტრუქტორ ხუციევს დაეკისრა. ინსტრუქტორმა კი ასეთი დასკვნა წარადგინა: არტელ „26 კომუნარს" 1930 წლამდე არქივი არა აქვს, მაშასადამე, მოქ. დედუკოვის სახელზე გაცემული მოწმობა, თითქოს ის 1928 წლიდან მუშაობდა ამ არტელში, ყალბად უნდა ჩაითვალოსო. გამოდის, რომ არტელიც არ არსებულა 1930 წლამდე, რადგანაც მანამდე არქივი არ ჰქონია. ამ დასკვნის საფუძველზე საპენსიო კომისიამ მიმდინარე წლის 25 მარტს დაადგინა: „მოქ. დედუკოვს, სტაჟის უქონლობის გამო, პენსიაზე უარი ეთქვას, ხოლო არტელ „26 კომუნარის" გამგეობა ყალბი ცნობის გაცემისათვის პასუხისგებაში მიეცესო".

დიდოკოვს, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა ეს უხეიროდ შეკოწიწებული დადგენილება. მან კვლავ მიმართა განცხადებით საპენსიო კომისიას. ამხ. ვეფხვაძემ იგი ასეთი პასუხით გაისტუმრა: განცხადება რუსულად სთარგმნე და მოსკოვში გაგზავნე. თუ იქ დაადგენენ, რომ პენსია მოგეცეს, ჩვენც არა გვექნება რა საწინააღმდეგოო.

რასაკვირველია, განცხადების მოსკოვში გაგზავნაც შეიძლება, თუ ეს საჭირო იქნება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. ვეფხვაძის უსულგულო - ბიუროკრატულ დამოკიდებულებას მუშა დედუკოვისადმი სარეწკავშირის საპენსიო კომისიამ ბოლო უნდა მოუღოს.

ი. მ.

იძულებითი მუშაობა აქმარეს

სოფ. ახალ აბასთუმნის (ზუგდიდის რაიონი) ამხ. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ნაჭყებია და მისი მოადგილე პ. თოდუა შეხმატკბილებულად ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას.

1936 წლის შემოდგომაზე შ. ნაჭყებიამ კოლმეურნეობის 8 ცალი ფიცარი და 5 კილოგრამი ლურსმანი მიითვისა. ამ „მესვეურებს" კოლმეურნეობის 736 მან. და 75 კაპ. „შემოეხარჯათ", და ეს თანხა დღესაც მათზე ირიცხება. ამას გარდა, შ. ნაჭყებიამ ვარლამ მესხის 300 მანეთის ობლიგაცია მიითვისა.

შ. ნაჭყებია ისე გათავხედდა, რომ წამგლეჯობასაც მიჰყო ხელი, მაგ., დედის დაკრძალვისათვის მან კონდრატე ბაღათურიას და იაკობ ლურწკაიას 30 ფუთი ხორბალი გამოართვა, ხოლო შემდეგ მისი გადახდა „დაავიწყდა".

შ. ნაჭყებიამ და პ. თოდუამ სხვადასხვა კომბინაციით კოლმეურნეობას 20.000 მანეთის ზარალი მიაყენეს, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, შ. ნაჭყებიას სასტიკად დასჯის ნაცვლად ერთი წლით იძულებითი მუშაობა აქმარეს.

მარტო ამით როდი ამოიწურება მათი „საქმენი საგმირონი". შ. ნაჭყებია უხეშად ამახინჯებს არტელის სტალინურ წესდებას. ეს ვაჟბატონი ზოგიერთ კოლმეურნეს გამომუშავების მიხედვით კი არ უწერს შრომადღეებს, არამედ რეზოლუციის წარწერით. მაგ., პ. ქადარიას 21 შრომადღე დაუწერა, ფედოსი ჯახიას — 15, თამარ ჯახიას —15 და კატო ქადარიას— 15. რაზედაც მშრომლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

კიდევ შეიძლებოდა ფაქტების მოყვანა მათი „მოღვაწეობიდან", მაგრამ აქ ვსვამთ წერტილს და ვფიქრობთ, რომ შ. ნაჭყებიას საქმეს საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომი გამოარკვევს.

ლ. ბაღათურია.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„გამფლანგველი დაუსჯელია"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ხაშურის რაიონიდან გვაცნობებდა, რომ ქვიშხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ტაბატაძემ მიითვისა კოლმეურნეობის თანხა 1150 მანეთი, რაზედაც ადგილობრივი მშრომლები სამართლიანად უკმაყოფილებას გამოსთქვამენო.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ხაშურის რაიპროკურორს, რომელიც გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდაო ნ. ტაბატაძის საქმე გადაეცა რაიონის სახალხო სასამართლოს.

„გათავხედებული ექიმი"

„კომუნისტის" 29 აგვისტოს ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია სათაურით „გათავხედებული ექიმი", რომელიც ეხებოდა ექ. ნიკოლოზ ჯავახიშვილს, არ დადასტურდა.

რედაქციისაგან

„კომუნისტის" 15 სექტემბრის ნომერში კორექტურული შეცდომების დაშვებისათვის, სარედაქციო სხდომის დადგენილებით მოხსნილია სამუშაოდან კორექტორი-კონტროლიორი ამხ. კ. კოპაძე. უფროს კორექტორს—ამხ. ლ. სანებლიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. აგრეთვე საყვედური გამოეცხადა ღამის პასუხისმგებელ მორიგეს—ამხ. ნათელაშვილს.

ფოთის მუზეუმი

(საკ. კორესპონდენტისაგან)

ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით 1933 წელს ფოთში დაარსდა კოლხიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფოთის რაიონისა და საერთოდ მთელი კოლხიდის უძველესი მატერიალური კულტურის შესასწავლად. მის სანახავად დიდძალი ხალხი მოდის.

მუზეუმი უკვე შეუდგა გათხრებს კოლხიდის დაბლობსა და მთის კალთებზე. უკვე დაწყებულია მუშაობა ერთერთი იმ ექვსასი ძეგლთაგანის შესასწავლად, რომლებიც გაფანტულია კოლხიდის დაბლობებში. საბჭოთა კავშირის გამოჩენილი სპეციალისტების დასკვნით ამ ძეგლთა შესწავლას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ამ გათხრების საწარმოებლად მუზეუმმა შეიძინა არქეოლოგიური რუკა, სადაც სხვადასხვა სახისა და ეპოქის 600-ზე მეტი ძეგლია აღნიშნული. მათ შორის არის კოლხიდის ძეგლებიც.

ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიმდინარე წელს საკმაო თანხა გაიღეს მუზეუმის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, მაგრამ საქმეს აფერხებს საქმის მცოდნე სპეციალისტთა კადრების სიმცირე. განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლების სამმართველო ამ საკითხის მოგვარებაზე ნაკლებად ზრუნავს. იგი „აწარმოებს კადრების შერჩევას", მაგრამ ამას ბოლო არ უჩანს. ამის გამო კი მუზეუმის ყველა ის ექსპონატები, რომლებიც კოლხიდის დაბლობებშია ნაპოვნი და უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, შეუსწავლელია.

ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი მეტ ყურადღებას მოითხოვს.

გრ. ბოლქვაძე

მწერალთა კავშირში

ახალგაზრდა მწერლების საერთო საქალაქო კრებაზე

მწერალთა სასახლეში შესდგა საქართველოს ახალგაზრდა მწერლების საერთო-საქალაქო კრება, რომელიც მოაწყო ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქციამ. კრებაზე განხილულ იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის ჟურნალის სპეციალური ნომრისა და ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა პირველი კრებულის მომზადების საკითხი. ამ კრებულმა უნდა გვიჩვენოს ახალგაზრდა ლიტერატურული კადრების შემოქმედებითი სახე.

ინფორმაციით ორივე საკითხზე გამოვიდნენ მწერლები კ. ლორთქიფანიძე და ა. ჭეიშვილი.

კრება დიდი კმაყოფილებით შეხვდა აზრს კრებულის გამოცემის შესახებ. კამათში გამოსული ახალგაზრდა მწერლები გ. კალანდაძე, ვ. უბილავა, ი. თევზაძე, შ. ამისულაშვილი, ი. ჩხაიძე და ბევრი სხვა აღნიშნავდნენ, რომ კრებულის გამოშვება დროულია და მას დიდი მნიშვნელობა აქვსო. ისინი სიტყვას იძლევიან, რომ თავის ნაწარმოებებში ასახავენ საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძოლას სოციალისტური მშენებლობისათვის.

კრებულში, ახალგაზრდა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გარდა, შეტანილი იქნება აგრეთვე სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებნი, რომელთაც სთარგმნის ახალგაზრდა მწერალი სიჭინავა.

კრებულის მასალის გადაცემის ვადად დაწესებულია 25 სექტემბერი. კრებული გამოვა 8-10 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით, გამოსცემს „ფედერაცია" კ. ლორთქიფანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. (საქდესი).

ხალხურ სიმღერათა და ცეკვათა ოლიმპიადა

ხალხურ სიმღერათა და ცეკვათა სრულიად - საქართველოს ოლიმპიადა ჩატარდება თბილისში, საოპერო თეატრის შენობაში 8-დან 13 ოქტომბრამდე.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ხალხური ეთნოგრაფიული გუნდები, ხალხურ საკრავთა ანსამბლები, სიმღერათა ცალკეული საუკეთესო შემსრულებლები, მოცეკვავეთა ანსამბლები, აგრეთვე ხალხურ ცეკვათა ინდივიდუალურად, წყვილად და ჯგუფურად შემსრულებელნი.

საუკეთესო შემსრულებელთა შერჩევა სრულიად - საქართველოს ოლიმპიადისათვის მოხდება საქალაქო და სარაიონო ოლიმპიადებზე, რომლებიც 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

რესპუბლიკის რაიონებსა და თბილისში მოეწყობა ოლიმპიადის მონაწილეთა გამოსვლები მუშათა კლუბებში, აგრეთვე სალამოები საუკეთესო შემსრულებელთა მონაწილეობით, რომელთაც მიიღეს პრემიები (საქდესი).

მე-105 ქურთთა სკოლის ფრიადოსანი მოწაფეები (მარცხნიდან მარჯვნივ): თამარ ჰუსეინოვა, დილო მახოევა და ხანარ შამოევა.

ქ. თბილისის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა დაიცვას ძველი თბილისის კოლორიტული კუთხე მაიდნის რაიონში, რომლის ნაწილი გამოცხადებულია კომუნალურ ნაკრძალად და უცვლელად დარჩება. **სურათზე:** კომუნალურ ნაკრძალად გამოცხადებული რაიონის ნაწილი. ზევით—უძველესი სეიდაბადის ციხის ნანგრევები.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი ზემერინგში

8 სექტემბერს ზემერინგში (ავსტრია) დაიწყო ფრიად საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება ჭადრაკში. ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობენ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი კაპაბლანკა, მსოფლიო ჩემპიონობის თითქმის ყველა კანდიდატები — ფლორი, რეშევსკი, კერესი, ფაინი და სხვ. (ბოტვინიკის გარდა) და მასთან ისიც, რომ ტურნირი სწორედ ალიოხინ - ეივეს მსოფლიო პირველობისათვის სარევანშო მატჩის წინადღეებში ტარდება, შემთხვევითი როდია. საქმე ისაა, რომ თუ დღემდე შესაძლებელი იყო მსოფლიო პირველობის კანდიდატის გარკვეულად დასახელება, ამჟამად ეს საკითხი მეტად ბუნდოვანი ხდება. უკანასკნელმა ტურნირებმა გამოავლინა არანაკლებ 5—6 მოჭადრაკისა, რომელთაც თანასწორი უფლებით შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზიები მსოფლიო პირველობაზე. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულ საჭადრაკო წრეებში უახლოეს პრეტენდენტებად ჯერჯერობით კაპაბლანკასა და ფლორს ასახელებენ. ინგლისის საჭადრაკო ორგანიზაცია დიდი დაჟინებით უჭერს მხარს კაპაბლანკას კანდიდატურას, ხოლო ევროპის ქვეყნები და, პირველ რიგში ჰოლანდიის საჭადრაკო ორგანიზაცია, ფლორს ასახელებენ.

ალიოხინ-ეივეს მატჩის შემდეგ, რომელიც ა. წ. 5 ოქტომბერს დაიწყება, ეს საკითხი კვლავ დიდი სიმწვავით დაისმება. ახლანდელი შეჯიბრება მიზნად ისახავს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეიტანოს გარკვეულობა იმ საკითხში, თუ ვინ არის მსოფლიო პირველობის უახლოესი კანდიდატი.

ამიტომ ტურნირის მთავარ ინტერესს წარმოადგენს ის შედეგი, რომელსაც მიაღწევენ კაპაბლანკა და ფლორი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ტურნირებში, როდესაც ისინი რამდენიმე წრედ ტარდება, კაპაბლანკა ყოველთვის კარგ შედეგებს აღწევდა. ასე იყო 1927 წ. ნიუ-იორკის ტურნირში, სადაც მან პირველი ადგილი დაიკავა. ასევე იყო მოსკოვის მესამე საერთაშორისო ტურნირშიაც.

საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ნიჭიერი წარმომადგენელი, ლენინგრადის ჩემპიონი რაგოზინი. რაგოზინი საბჭოთა მეორე მოჭადრაკეა, რომელიც მონაწილეობას იღებს საზღვარგარეთის ტურნირში. ეს მისი პირველი დებიუტია და, ცხადია, მის მიერ მოპოვებული შედეგი საბჭოთა საჭადრაკო საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრშია. მან ჯერჯერობით ღირსეულად დაიცვა საბჭოთა მოჭადრაკის საპატიო სახელი. მართალია ოთხ ხელში ერთი წააგო და სამი ყაიმით დაასრულა, მაგრამ სამაგიეროდ ყველა პარტიები მისი უპირატესობის ნიშნით მიიმართებოდა, ხოლო დამარცხება ფაინთან, ყაიმზე უარის განცხადების შემდეგ, სრულიად შემთხვევითი იყო.

მეხუთე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: კერესი (ესტონეთი) + 3 ნახ., რეშევსკი და ფლორი + 3 (1 გად.) კაპაბლანკა + 2 (1გად.), რაგოზინი + 1 ნახ. (1 გად.), ელისკაზესი+1 და პეტროვი+½.

ალ. ფალავანდიშვილი

სპეკულანტთა ბუდე

მილიციის ორგანოებმა დაამთავრეს სპეკულანტ-შინამრეწველთა ჯგუფის საქმის გამოძიება. ჯგუფში შედიოდნენ ა. ო. ყაზაროვი, მისი ძმა გ. ო. ყაზაროვი და მათი კომპანიონი ი. კ. ტერ-მელიქსეტოვი.

ძმებს ყაზაროვებს და ტერ-მელიქსეტოვს საწოლების პატარა კუსტარული სახელოსნოები ჰქონდათ და ამავე დროს სპეკულაციას ეწეოდნენ, უკანონო გზით სხვადასხვა პირებისაგან იძენდნენ დეფიციტურ საქონელს და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდნენ შინამრეწველთა შორის.

გაჩხრეკისას „შინამრეწველებს" აღმოაჩნდათ დიდძალი სხვადასხვა მასალა. ორივე სახელოსნოში აღმოჩნდა 1 ტონა მავთული, 7 ყუთი რკინეული, 237 საწოლის ბადური, ფერადი ლითონის 2 ტონამდე ნამტვრევი, ხოლო გ. ყაზაროვის ბინაზე ნახეს 111 ცალი 2-მეტრიანი თუჯის მილები. ამ საქონლის ღირებულება საბაზრო ფასებში 83.000 მანეთს შეადგენს.

სპეკულანტების მთავარ ხელისდამლელებად ითვლებოდნენ მეთუნუქენი: ნ. ლებედევი, ა. კუპალიანი, გ. დანელიანი, გ. ოვანიანი და სხვ. იყო შემთხვევები, რომ მათ სხვა ქალაქებიდანაც მიმართავდნენ.

სპეკულანტები დაპატიმრებული არიან, აღმოჩენილ საქონელს ყადაღა დაედო. ახლო ხანში ისინი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

16 სექტემბერს.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.

ქართულ და რუსულ ენებზე.

დასაწყ. საღ. 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება და კომკავშირის პრო[illegible] ამოცანები.

ქართულ ენაზე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ 16 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში რაიონის აგიტატორთათვის შესდგება მოხსენება რუსულად თემაზე: „სსრ კავშირის საარჩევნო სისტემა და ეროვნებათა უფლებების უზრუნველყოფა".

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის სხდომათა დარბაზში 16 სექტემბერს, საღ. 8 საათზე, რაიონის აგიტატორთათვის შესდგება პროფ. ათაბეკოვის მოხსენება თემაზე „ბრძოლა ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობისათვის".

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი იუწყება, რომ თბილისის ორგ. ორჯონიკიძის პარტრაიკომის მიერ ანა ქრისტეფორეს ას. ლობჟანიძის სახელზე გაცემული საკანდიდატო ბარათი № 0718116 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

პროფ. პ. ა. შარიას მოხსენება. თემაზე „ისტორიული მნიშვნელობა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომისა „სახელმწიფო და რევოლუცია", დანიშნული 16 სექტემბრისათვის, შესდგება 19 სექტემბერს, საღ. 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

1937 წ. 20 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში იხსნება საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენცია.

კონფერენციის დელეგატებისათვის მანდატების გაცემა სწარმოებს ყოველდღე დღის 10 — 4 საათამდე და საღამოს 7 -- 9 საათამდე საქ. ალკკ თბილისის კომიტეტში, ძერჟინსკის ქ. № 8, IV სართული, ოთახი 81.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი
შ. გუდავაძე

თეატრები ემზადებიან სეზონისათვის

რუსთაველის სახ. თეატრი

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი თეატრი სეზონისათვის გაცხოველებით ემზადება.

ზაფხულში თეატრი მუშაობდა კელასურში, სადაც დასადგმელად მოამზადა ახალი პიესები. თეატრი თბილისში დაბრუნდა 12 სექტემბერს. სეზონი გაიხსნება პირველ ოქტომბერს შექსპირის „ოტელოთი", რომელსაც სდგამს ხელოვნების დამს. მოღვაწე ორდენოსანი რეჟ. შ. აღსაბაძე; მხატვარია ხელოვნების დამსახ. მოღვაწე ორდენოსანი ირ. გამრეკელი; მუსიკა ხელოვნების დამსახ. მოღვაწის ი. ტუსკიასი.

დიადი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად თეატრი ამზადებს სახალხო არტისტის შ. დადიანის პიესას „ნაპერწკლიდან". პიესას სდგამს ს.ს.რ.კ. სახალხო არტისტი ორდენოსანი აკ. ვასაძე; მხატვარია ირ. გამრეკელი; მუსიკა ახალგაზრდა კომპოზიტორ გაბიჩვაძისა.

შემდეგი დადგმა იქნება ნ. შიუკაშვილის კომედია „სულელი", რომელსაც სდგამს ხელოვნების დამსახ. მოღვაწე კ. პატარიძე.

ამასთან თეატრი დასადგმელად ამზადებს შემდეგ პიესებს: „ფოლადაური" ს. შანშიაშვილისა, „სამშობლო" გ. მდივნისა, „დუშეთის აჯანყება" პ. სამსონიძისა, „მთაგრეხილზე" ს. მთვარაძისა, „სტახანოველები" ვ. გაბესკირიასი და „ცხოვრება სამურია" პ. კაკაბაძისა.

შ. რუსთაველის იუბილესათვის თეატრი ამზადებს „ვეფხის ტყაოსანს" აკ. ფაღავას ინსცენირებით.

განახლებული იქნება: ს. შანშიაშვილის „არსენა", გ. მდივნის „ალკაზარი"; აღდგენილ იქნება შესწორებებით: ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა", ფ. შილერის „ინტრიგანის" („ყაჩაღები") და ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები". გაუმჯობესებულია მბრუნავი სცენის მექანიზაცია, რაც გააადვილებს სურათების სწრაფ ცვლას წარმოდგენის დროს.

თეატრი კვლავ განაგრძობს შეფობას აჭარის სახელმწიფო თეატრზე, რომელსაც გასულ წელს მან მოუმზადა გ. მდივნის „ბრმა", კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი". წელს პირველ რიგში აჭარის თეატრი დასდგამს ს. მთვარაძის პიესას „თევრადს".

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი თბილისში დაბრუნდა 5 სექტემბერს აგარაკ წაღვერიდან, სადაც იგი ზაფხულის პერიოდში გაცხოველებით ემზადებოდა სეზონისათვის და მოამზადა მთელი რიგი ახალი პიესები.

სეზონი იხსნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში ბომარშეს პიესა „ფიგაროს ქორწინებით", თარგმანი ი. გრიშაშვილისა და შარიჯანისა. პიესას სდგამს რეჟ. ვ. ქუშიტაშვილი.

შემდეგი დადგმა იქნება ი. ვაკელის ახალი პიესა „მური", სიფხიზლის თემაზე. სდგამს რეჟ. ს. ჭელიძე, მხატვარი ხიმშიაშვილი, კომპოზიტორი კურტიდი.

დიადი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად მარჯანიშვილის თეატრი აგრეთვე ამზადებს სახალხო არტისტის შ. დადიანის პიესას „ნაპერწკლიდან". პიესას სდგამს რეჟ. გ. ჟურული.

შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადდება შ. დადიანის მიერ დამუშავებული პიესა სახელწოდებით „შოთა რუსთაველი". პიესას სდგამს რესპ. დამსახურებული არტისტი დ. ანთაძე.

გარდა ამისა, თეატრი სეზონის განმავლობაში დასდგამს შემდეგ პიესებს: „მოთეთრო ყორანი" ვ. ეგნატაშვილისა, „შავი ზღვის პირას" — გმირული დრამა გ. ბააზოვისა, „ინტელიგენცია" (სახელწოდება პირობითია) ვ. გაბესკირიასი და „კოლხიდა" პ. კაკაბაძისა.

აღდგენილ იქნება „სამანიშვილის დედინაცვალი" დ. კლდიაშვილის მიხედვით (ინსცენირება ჭ. გელეიშვილისა), „იცკა რიჟინაშვილი" გ. ბააზოვისა, „ურიელ აკოსტა" კ. გუცკოვისა (პიესა წავა კ. მარჯანიშვილის დადგმით) და ი. ვაკელის „შამილი" (განახლებული დადგმით).

გრიბოედოვის სახ. თეატრი

20 აგვისტოდან, საზაფხულო დასვენების შემდეგ, გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივი შეუდგა სეზონისათვის მზადებას.

პირველი დადგმებისათვის მზადდება პიესები: ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა" (ვოლკოვის მიერ გადმოკეთებული) მთავარ რეჟისორ ა. ვ. რიდალის დადგმით და გოგოლის „რევიზორი".

დაიწყო რეპეტიციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის დასადგმელი პიესებისა. დაიდგმება: ტრენევის „ნევის ნაპირზე" და ნ. ვირტის „მიწა". გარდა ამისა, განზრახულია დაიდგას მ. გორკის პიესა „ბარბაროსები", ა. ოსტროვსკის „ჰექა-ქუხილი", სარდუს „სამშობლო" და სხვ.

დასის შემადგენლობა განახლებულია. მოწვეული არიან მსახიობი-ქალები მ. კისელიოვა და ა. ლემერგარდტი და მსახიობები ა. ვოლჟინი და ა. მიუსარი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სცენის მექანიზაციის გაუმჯობესებას ანტრაქტების შესამცირებლად.

სომხური დრამის თეატრი

სომხური დრამის აკადემიურმა თეატრმა ზამთრის სეზონისათვის დაიწყო მუშაობა შირვანზადეს პიესა „ნამუსის" დადგმაზე. პიესას სდგამენ რეჟისორი ა. აბარიანი და მხატვარი ზ. სიმონიანი.

დრამატურგმა ტ. ახუმიანმა დაამთავრა თეატრის მიერ შეკვეთილი პიესა „ხალხის მტერი". უახლოეს დღეებში თეატრი დაიწყებს მზადებას მის დასადგმელად.

ფოთის თეატრი

ამხ. ლ. ბერიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატიული თეატრი 3 სექტემბერს შეუდგა მზადებას 1937—38 წლის სეზონისათვის. დასი შევსებულია ახალგაზრდა მსახიობთა ძალებით.

1937—38 წლის სეზონში განზრახულია დაიდგას ერთი საბავშვო პიესა მოწაფეთათვის.

ამავე სეზონში გაძლიერდება ბრიგადების მუშაობა, რომლებიც მხატვრულ მომსახურებას გაუწევენ კოლმეურნეობებს.

სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბერში.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი

თბილისის ქართულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა სეზონის დამთავრების შემდეგ საგასტროლოდ იმოგზაურა ფოთსა და ქუთაისში, სადაც დადგა თავისი საზამთრო რეპერტუარის 35 წარმოდგენა.

20 სექტემბერს დასი დაბრუნდება თბილისში და შეუდგება მუშაობას.

ახალი სეზონი გაიხსნება 1 ოქტომბერს კაჭკაჭიშვილის პიესა „ადელახტეთი", რომელსაც გასულ სეზონში დიდი წარმატება ჰქონდა.

თეატრი 4 ახალ პიესას ამზადებს. ესენია: ბ. ბერძენიშვილის „აჭარის მთებში" თავდაცვის თემაზე, „მეწყერი" გ. გოგიაშვილისა და ორი ნათარგმნი—„პავკა კორჩაგინი" მილკინისა ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადი" მიხედვით, და მცირეწლოვანთათვის—„წითელქუდა" შვარცისა გრიშაშვილის თარგმანის მიხედვით.

თეატრმა ახალი პიესები შეუკვეთა მთელ რიგ ქართველ დრამატურგებს. თეატრის მუშაკები ბ. გამრეკელი და გ. რახუცრიშვილი ამზადებენ ახალ პიესას ლადო კეცხოველის ცხოვრებიდან.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის დღესასწაულის დღეებში ნაჩვენები იქნება პიესა „აჭარის მთებში".

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობთა დასი შევსებულია ახალი ძალებით.

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი

მოზარდ მაყურებელთა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის რუსული თეატრის სეზონის გახსნა განზრახულია 1 ოქტომბრისათვის. დაიდგმება ფრ. ვოლფის პიესა „ტროადის ცხენი" (დაწერილი ფაშიზმთან ბრძოლის თემაზე).

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადდება ბრუნშტეინის პიესა „ჩვენ შვიდნი ვართ"—სამოქალაქო ომის ეპოქიდან. პიესა წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას პიესისას „ცისფერი და ვარდისფერი" და შეეხება 1918 წლის სკოლის ცხოვრებას. პიესას სდგამენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ი. მარშაკი და მხატვარი-ქალი ი. შტენბერგი.

თეატრი ამზადებს აგრეთვე კომპანეიცის პიესას „ბავშვები ვერხოვები". თემად არის აღებული ბავშვთა მონაწილეობა სამოქალაქო ომში. საშუალო ასაკის ბავშვთათვის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ამზადებს პიესებს: „ქვეყნიერების გარშემო 80 დღის განმავლობაში" ჟ. ვერნის მიხედვით და „ფრიალებს აფრა, თეთრი, ობოლი"—ვ. კატაევისა. მცირეწლოვანთათვის ნაჩვენები იქნება ა. ტოლსტოის პიესა „ოქროს გასაღები" და ზღაპარი „ჩექმებიანი კატა", გადაკეთებული ნ. ი. მარშაკის მიერ.

განახლებული იქნება წარსულ სეზონთა მთელი რიგი პიესები: „დიდი ერეტიკოსი", „ცისფერი და ვარდისფერი", „მუსიკოსთა გუნდი" და სხვ.

○

თოჯინების თეატრი სკოლამდელთათვის სდგამს გერნეტისა და გურევიჩის თამაშ-წარმოდგენას „ბატის ჭუკი"—დადგმა ნ. მარშაკისა და მხატვარი ი. შტენბერგისა, აგრეთვე ფედოროვის პიესას „ნადირობა მურიაზე".

თეატრისაგან დაშორებულ რაიონებში მცხოვრებ ბავშვებს თეატრში მიიყვანენ და იქიდან შინ წაიყვანენ თეატრის ავტობუსით.

თეატრი შეუდგა აბონემენტების გაყიდვას, რომელთა რიცხვიც ამ სეზონში გადიდებულია 50 პროცენტით.

მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი

მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრის კოლექტივი გამალებით ემზადება ახალი სეზონისათვის. კოლექტივი მუშაობს მთელ რიგ ახალ პიესებზე.

დასადგმელად მზადდება პიესები: „ტროადის ცხენი" ფრიდრიხ ვოლფისა (ფაშიზმთან ბრძოლის თემაზე) და „პავკა კორჩაგინი" ნ. ოსტროვსკის რომანის მიხედვით — „როგორ იწრთობოდა ფოლადი". ამ პიესებს სდგამენ რეჟისორი ა. აბარიანი და მხატვარი ზ. სიმონიანი. გარდა ამისა თეატრს განზრახული აქვს დასდგას პიესა—ზღაპრები უმცროსი ასაკის ბავშვთათვის —„წითელქუდა" შვარცისა, „მეწისქვილე" მ. დარბინიანისა და საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვთათვის ბ. ბერძენიშვილის პიესა „აჭარის მთებში".

კვლავ დაიდგმება პიესები „გიქორი" დარბინიანისა, „სერიოჟა სტრელცოვი" ლიუბიმოვასი, „ერთი წვეთი თაფლი" ა. აბარიანისა, „შორეული გზა" შესტაკოვისა.

თეატრის დასი შევსებულია ახალი შემსრულებლებით. განზრახულია სპექტაკლების რაოდენობა გაადიდონ 200-მდე, მათგან 20 საგასტროლო იქნება. შარშან კი გაიმართა 123 სპექტაკლი.

ნოემბერში მოზარდ მაყურებელთა თეატრი აღნიშნავს თავისი არსებობის 5 წლისთავს. ამ დროისათვის მოეწყობა გამოფენა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს თეატრის ზრდას.

◆

დღეს საკინომრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვანი ფილმი **პირველი სიყვარული** დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმოვანი ფილმი **პეტრე 1-ლი** დასაწყისი საზამთ. 6, საზაფხ. 8-20
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	საზაფხ. შენ. **პეტრე 1-ლი** დასაწყისი 8-50 საზამთ. შენ. **სტალინური მოდგმა** დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	**ანტეკ პოლიცმეისტერი** დასაწყ. 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	საზაფხ. **მარიონეტები** დასაწყ. 8-30 საზამთ. **ცირკი** დასაწ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვ. ფილმი **მხიარული ახალგაზრდობა** დასაწყისი 8 საათზე.
ახალი ამბები	ხმოვანი ფილმი **ბრძოლა მწვერვალებისათვის** დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი **შორეულ აღმოსავლეთში** დასაწყისი 7 საათზე

თბ. სახ. უნივერსიტეტი
აცხადებს, რომ 1937 წ. სექტემბრის 27-ს, საღამოს 7 საათზე, აუდ. № 93-ში დანიშნულია საჯარო სხდომა, რომელზედაც დოც. ნ. ნ. კეცხოველი დაიცავს დისერტაციას ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე:
„საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები"
ოფიციალური ოპონენტები: 1. მეცნიერ. აკადემიის წევრი—კორესპონდ., ბიოლოგ. მეცნ. დოქტორი; პროფ. ნ. ა. ბუში. 2. ბიოლოგ. მეცნიერ. დოქტ. პროფ. დ. ი. სოსნოვსკი.
380

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წლის სეზონი
მუდმივი ადგილების განსაზღვრული რაოდენობის გამო, ბილეთების შეძენის ვადა გაგრძელებულია მხოლოდ 23 სექტემბრამდე.
25 სექტემბრიდან დაიწყება მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. ხელშეკრულებით დაჯავშნული მუდმივი ადგილების ბილეთების მიღებისას ხელშეკრულებაშივე აღნიშნული ვადების მიხედვით თანხის გადახდა აუცილებელია. უამისოდ ბილეთები არ გაიცემა.
სეზონის გახსნა პირველ ოქტომბერს. პრემიერა ოტელო.
3—1 50

ბალანსი

საქ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითონის კონსტრუქციების ქარხნისა 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის.

აქტივი			პასივი		
№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი (ათას მანეთობით)	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი (ათას მანეთებში)
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	399	1	საწესდებო ფონდი	1652
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	349	2	სპეცფონდები	87
3	მარაგი მასალების, ნედლეულის და სათბობისა	374	3	რეზერვები	50
4	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	174	4	ანგარიშსწორებანი	147
5	საქონელი—მზანაწარმი	370	5	საანგარიშო წლის დაგროვებანი	266
6	ფულადი საშუალებანი	262			
7	ანგარიშსწორებანი	196			
8	მომავალი პერიოდის ხარჯები	11			
9	განყენებული საშუალებანი	67			
	ბალანსი...	2202		ბალანსი...	2202

1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1	სხვადასხვა დანაკარგები	25	1	დაგროვებანი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით	215
2	დაგროვების სალდო	266	2	სხვა დაგროვებანი	76
	ბალანსი...	291		ბალანსი...	291

დირექტორი **ნუროვი.** მთავ. ბუხჰალტერი **აგაბეკოვი.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1185 საქ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომ. საბუხჰალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61 სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—42 მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 6[illegible]

მთავლიტის რწმუნებული 3—8309